რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 17 იანვარი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ., ექვსი თვით 27 მ., ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერისათვის ფული შეიძლება იგზავნებოდეს: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакция „Эртоба“. რედაქცია და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинский проспектъ № 12). ტელეფონი 16—62.

№ 12 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 12


## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის ყოველ დღიურ გაზეთ „ერთობა“-ზე

**ხელის მოწერის პირობები:**

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ. | ექვსი თვით — 27 მანეთი
ორი თვით — 9 მანეთი. | ერთი წლით — 50 მანეთი
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ. | ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

## განცხადება

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო ამით აცხადებს ამავე კლუბის წევრთა საყურადღებოთ, რომ 21 იანვარს 1918 წელს შუადღის 12 საათზე კლუბის შენობაში დანიშნულია წევრთა

## საზოგადო წლიური კრება.

კრების საგანია: განხილვა და დამტკიცება 1917 წლის ანგარიშისა, 1918 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. არჩევნები: მამასახლისთა და მათ კანდიდატთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა, კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა და მიმდინარე საკითხები. (3—3)

მომხმარებელ საზოგ. „მოსავალის“ გამგეობისაგან

## ბინის კომიტეტების საყურადღებოთ.

ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გასატარებლათ, რომ ბინის კომიტეტებს პურს რიგის გარეშე მისცემენ—„მოსავალის“ გამგეობამ გადასწყვიტა მსურველთ პური მოუტანოს სახლში.

ვისაც აქვს სურვილი გთხოვთ მოგვმართოთ კანტორა „მოსავალი“-სა მიხაილოვის პროსპ. № 128. 9-დან—3 ს. და 6—8 ს. საღამოს.

6—2 გამგეობა.

## მოქალაქენო!

**შეკავშირდით ბინის ორგანიზაციებში და ამოირჩიეთ ბინის კომიტეტები.**

მძიმე და აუტანელმა დრომ, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით და რომელმაც გამოიწვია ტრანსპორტის მოშლა და ზოგ ადგილას კი მისი სრულიად შეწყვეტა,—უმწვერვალესად გაამწვავა სასურსათო საკითხი. ამ გაჭირვების ცოტათი შესამსუბუქებლათ და პროდუქტების დროზე მიღების მოსაწყობათ აუცილებელია თვითეულ რაიონის მოქალაქეთა თვითმოქმედება, ამისთვის უკანასკნელისათვის კი საჭიროა მოქალაქეთა ბინის ორგანიზაციებში შეკავშირება.

პროდუქტების მიღებაში დაურწმუნებლობა (ყველაზე უფრო კი პურის) და უსურსათოდ დარჩენის შიში მოქალაქეს იძულებულს ყოფს მთელი საათები იდგეს გრძელ რიგებში დუქნის გახსნამდი. ამ კუდების ბოლოს მოსაღებათ კი აუცილებლათ საჭიროა მოქალაქეთა ბინის ორგანიზაციებში შეკავშირება.

რიგებში დგომით უსაფუძვლოთ დროს კარგვა და გულსაკლავი ლოდინი საზიანოა არა მარტო კერძო პირისათვის და ოჯახისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. და აი ვისაც სურვილი აქვს ებრძოლოს ამ ბოროტებას, მან უნდა გასწიოს აგიტაცია და ხელი შეუწყოს მოქალაქეთა დაჩქარებით ბინის ორგანიზაციებში შეკავშირებას.

სხვა ქალაქებში მოწყობილმა ასეთმა ორგანიზაციებმა გამოიღეს ნაყოფი და ბოლო მოუღეს შეუწყვეტელ გრძელ კუდებს და სასურსათო ბარათებით ბოროტმოქმედებას. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ გაკვეთილით და რაც შეიძლება დაჩქარებით შევკავშირდეთ **ბინის ორგანიზაციებში.**

ბინის ორგანიზაციების მიზნები და სამოქმედო ასპარეზი ფრიად ფართეა და შესაფერ გზას უხსნის თვითოეულ მოქალაქის თვითმოქმედებას და ინიციატივას. იჩქარეთ გაეცნოთ მას და მოითხოვეთ უფასოთ ბინის ორგანიზაციების წესდების პროექტი და ინსტრუქციები თუ როგორ უნდა შევკავშირდეთ ბინის ორგანიზაციებში.

ვინც სარგებლობს გრძელი კუდებით, მოქალაქეთა გაბოროტებით და აღშფოთებით და სასურსათო ბარათების ბოროტმოქმედებით ის იქნება მხოლოდ ბინის ორგანიზაციების წინააღმდეგი. მოქალაქენო! ნუ მიაქცევთ მათ ყურადღებას და დაუყოვნებლივ შეუდექით **ბინის ორგანიზაციებში შეკავშირებას.**

ბინის ორგანიზაციების წესდების პროექტი, დაბეჭდილი ინსტრუქციები და ყოველივე ახსნა-განმარტების უფასოთ მიღება შეიძლება უბნის საბარათო ბიუროებში დილის 9 საათიდან 1 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

**შეკავშირდით ბინის ორგანიზაციებში და ამოირჩიეთ ბინის კომიტეტები.**

(3—3) თფილისის ქალაქის გამგეობა.

**Россійская соціалъ-демократическая рабочая партія.**

Въ двадцатыхъ числахъ января предпологается возобновленіе изданія Тифлисской соц.-дем. газеты

## „БОРЬБА“

Размѣръ газеты расширенный.

Въ газетѣ примутъ участіе лучшіе соціалъ-демократическіе журналисты, мѣстные и столичные. Для привлеченія матеріальныхъ средствъ рѣшено выпустить ПАЙ, по 10 руб. пай.

Пріобрѣтать пай можно въ Тифл. Комитетѣ, ред. газ. „Эртоба“ и „Пайкаръ“ (Головинскій пр., 12) и въ районныхъ коллективахъ; тамъ-же принимаются пожертвованія.

Товарищи! Покупайте пай и жертвуйте для вашей рабочей газеты! Организовывайте на заводахъ, фабрикахъ группы содѣйствія по распространенію и матеріальному укрѣпленію газеты „БОРЬБА“.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

## კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი

## დ. ი. ჟორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

## ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

**შინაგან და ბავშვთა სნეულებანი**

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

## გ. დონხინი

**ყოფილი ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს**

**თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,** დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. **მიხეილის პრ., 76,** (ხაიკინის კბილის საექიმო).


## დამფუძნებელი კრება და ზავი

დეპეშათა ცნობით დამფუძნებელი კრების პირველ კრებაზე სამი კანონი მიუღიათ—კანონი მიწის, რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკისა და სამშვიდობო კონფერენციის შესახებ. იმავე დეპეშების ცნობით ბალშევიკების „მთავრობამ“ აღვიარა და მთელი რუსეთის რესპუბლიკის მცხოვრებთათვის სავალდებულოთ სცნო.

აქ ჩვენ ყურადღებას უმთავრესათ სამშვიდობო კონფერენციის კანონს მივაქცევთ. ვინ არ იცის, რომ რუსეთის მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა მსოფლიო ომის წინააღმდეგია და მის მოსპობის გარშემო კარგა ხანი იბრძოდა. განსაკუთრებით დიდი რევოლიუციის შემდეგ რევოლიუციონურმა კლასებმა მედგრად ხმა აღიმაღლეს რევოლიუციონურ ორგანოების პირით უანექსიო, უკონტრიბუციო ზავი, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული—მოითხოვეს. ერთ დროულათ ისინი სტოკჰოლმში სამშვიდობო სოციალისტურ კონფერენციას მოითხოვდენ, სადაც მეომარ სახელმწიფოებისა და ნეიტრალურ ქვეყნების სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები დაესწრობოდენ, საერთო სამშვიდობო გეგმას შეიმუშავებდენ და ამ საერთო გეგმის მოხებით ეცდებოდენ თავთავიანთ მთავრობაზე გავლენა მოეხდინათ და დემოკრატიული ზავი ჩამოეგდოთ.

მაგრამ ეს სწორი და წმინდა ინტერნაციონალური გზა ბალშევიკებმა უარყვეს და მის წინააღმდეგ მედგარი აგიტაცია გასწიეს. ბოლოს, როცა უპასუხისმგებლო ავანტიურისტებმა პეტროგრადში ხიშტების მოხებით ძალა უფლება ხელში ჩაიგდეს, საერთაშორისო საერთო ზავის მაგიერ მოლაპარაკება ცენტრალურ მთავრობის წარმომადგენლებთან გამართეს და ბრესტ-ლიტოვსკში ვილჰელმის აგენტებთან დაიწყეს თათბირი. ჩვენ ვიცით რა ბედი ეწვია ამ მოლაპარაკებას. არამცთუ საერთაშორისო, დემოკრატიული ზავი—სეპერატიული ზავიც კი ვერ მოახერხეს და ცენტრალისტურ მთავრობებმა იმპერიალისტური დაპყრობითი ზავი მოითხოვეს. ერთი სიტყვით ბალშევიკების დაუყოვნებლივი ზავის ცდამ კრახი განიცადა და მან უკანასკნელი ვერ მოახერხა

მდგომარეობა კი თანდათან აუცილებელი ხდება. ოთხი წლის საშინელმა მსოფლიო ომმა რუსეთი ყოველ მხრივ დააქვეითა და მას აღარ შეეძლო მისი გაგრძელება. ვერც სახალხო ეკონომიამ და ვერც ხალხის ფიზიკურმა ძალამ ვეღარ გადიტანა საშინელი ომი და რუსეთის ხალხის ბრძოლის უნარი წარმოუდგენელათ გახადა. ამ ობიექტიურსა და სუბიექტიურ პირობებს ზედ დაერთო ბალშევიკების არა ჩვეულებრივი აგიტაცია, რომელმაც შედეგათ დასავლეთი და კავკასიის ფრონტის სრული გატიტვლება გამოიწვია. ასეთ მდგომარეობაში თავისთავად საგულისხმოა ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტებს მეტი საშუალება მიეცათ თავიანთ ისტორიული დაპყრობითი პოლიტიკა სისრულეში მოეყვანათ. ცენტრალურ სახელმწიფოების წინაშე დღეს აღარ სდგას ძრიელი ფიზიკური ძალა, შეიარაღებული და დარაზმული ჯარი, რომელიც მათ აპეტიტებს შეასუსტებდა. ეჭვს გარეშეა ასეთ პირობებში მტრის იმპერიალისტებს ხელ-ფეხი გაეხსნათ და მათ საშუალება აქვთ თავიანთვის ხელსაყრელი ზავის პირობები გვიკარნახონ.

ბალშევიკების ტაქტიკის მიერ გამოწვეულმა ანარქიამ, უმგვანო ომის პოლიტიკამ ხომ მთლათ დაასუსტა რუსეთის ეკონომიური და ფიზიკური ძალა და ახლა ყველა ღრმათ დარწმუნებულია, რუსეთის რესპუბლიკის ხალხს წინააღმდეგობის უნარი აღარ შესწევს. თვით ბალშევიკების „სამღვთო ომი“ ველარას უშველის და ჩვენ ყოველგვარი წინააღმდეგობის სურვილი და უნარი ხელიდან დაგვეკარგა. მხოლოდ ამას ზედ ერთვის ეკონომიური კრიზისის გაძლიერება და არა ჩვეულებრივი ანარქია, პერიფერიებისა და ცენტრის შუა კავშირის გაწყვეტა. მერე ამის შემდეგ განა წარმოსადგენია რუსეთის რესპუბლიკის მცხოვრებლებმა დემოკრატიული ზავი ჩამოაგდონ?

აი ასეთ პირობებში, ასეთ ატმოსფერაში უხდება რუსეთის დამფუძნებელ კრებას სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა. ჩვენ დამფუძნებელი კრების ასეთ კანონს სიამოვნებით ვეგებებით. ახლა უფრო მეტი შანსებია, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრების კანონს ყველა მეომარი სახელმწიფოები გამოეხმაურებიან და ბოლო მოეღება ამ საშინელ და კაცობრიობის დამღუპველ მსოფლიო ომს.

მართალია ამ კონფერენციაზე რუსეთის ნორჩი რესპუბლიკისა და რევოლიუციონური კლასების წარმომადგენელნი ზურგს უკან ფიზიკურ ძალას არ გრძნობს, მას შეიარაღებული ჯარი აღარ ყავს, რაიც საბუთს იძლევა ვიგულისხმოთ უანექსიო, უკონტრიბუციო ზავი ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული არ განხორციელდეს, მაგრამ საყოველთაო ზავი მთელი კაცობრიობისათვის—განსაკუთრებით კი საერთაშორისო დემოკრატიისათვის მეტის მეტათ სასურველია და დამფუძნებელი კრების ასეთ კანონს ინტერნაციონალი სიამოვნებით შეხვდება.

## ისევ მასწავლებლების გაფიცვის გამო

ჩვენმა გაზეთმა დაგმო სახალხო მასწავლებელთა გაფიცვა, რადგან ამ გაფიცვაში სამართლიანათ დაინახა დემოკრატიის წინააღმდეგ გამოლაშქრება. ფედერალისტ მასწავლებელს, რომელიც „ელვა“-ს ფსევდონიმს ამოფარებია და „სახალხო საქმეში“ წერილი მოუთავსებია, ჩვენი პოზიცია ვერ გაუგია. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მას დავა პირად ნიადაგზე გადააქვს: „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“, გვეუბნება. ამ პატივცემულ პედაგოგს რომ დავუჯეროთ, გამოდის, რომ „ერთობის“ თანამშრომლები მაძღარი არიან და ამიტომ გმობს „ერთობა“ მასწავლებლების გაფიცვას.

„ერთობის“ თანამშრომლები, რომ არ არიან მაძღრები, ეს ყველამ იცის, გარდა ფედერალისტ მასწავლებლისა, მაგრამ უბედურობა ამაში არ არის. არ ცოდნა —არ ცოდვააო, ნათქვამია. ჩვენ სამწუხაროდ მიგვაჩნია ის, რომ ასეთის გონებრივ და ზნეობრივ ავლა-დიდების პატრონი მასწავლებლები უდგანან სათავეში ჩვენი ახალთაობის აღზრდის საქმეს. რაკი ასეთ მოლიპულ გზაზე შედგა ბატონი მასწავლებელი „ელვა“, ცხადია, ის თავშეუკავებლივ უნდა დაქანებულიყო დაღმართში. ამიტომ ის ჩვენ ბრალს გვდებს: „ერთობა“ სახალხო მასწავლებლებს ხალხთან გვაბეზღებსო“. ამ შემთხვევაშიაც ტყვილა ირჯება ბ. მასწავლებელი: ჩვენი დაბეზღება საჭირო არ არის, რადგან ხალხი იმდენათ შეგნებულია, რომ უჩვენოთაც კარგათ მიხვდება მასწავლებლების შეუწყნარებელ გამოსვლის მნიშვნელობას. ჩვენ დავწერეთ ჩვენი წერილი არა დასაბეზღებლათ, არამედ იმათ საყურადღებოთ, ვისაც შეუძლია გონს მოვიდეს და შეცდომა გაასწოროს.

ბ. „ელვა“ ბრძანებს: „განა სირცხვილი არ არის ასეთი დემაგოგიური გალაშქრება იმ მუშაკთა წინააღმდეგ, რომელნიც მთელ თავის ჯანღონეს, სულსა და გულს სახალხო საქმეს ანდომებენო“.

ბ. „ელვას“ რომ ესმოდეს სიტყვა „დემაგოგიური“, ამას არ იტყოდა, ხოლო რაც შეეხება იმას, „მასწავლებლები სულსა და გულს სახალხო საქმეს ანდომებენო“—ეს დღეს ძალიან სადავოა. სანამ ძველი ბიუროკრატიული წყობილება ბატონობდა, ჩვენ ვიცით, რომ მასწავლებლების დიდი ნაწილი სულსა და გულს ბიუროკრატიის სამსახურს ანდომებდენ, ინსპექტორების ბძანებებს უსიტყვოთ ასრულებდენ. დღეს ხალხმა თავისუფლება მიიღო, ეს თავისუფლება მასწავლებლებმაც მიიღეს და აი სწორეთ აქ აღმოჩნდა მათი პოლიტიკური ბალღობა, მათ სიმწიფის ეგზამენი ვერ დაიჭირეს და დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ გაფიცვა მოახდინეს, როცა მათ შეეძლოთ მოლაპარაკებით მოეწყოთ საქმე.

ჩვენ ზედმეტათ ვთვლით ბ. „ელვას“ ყველა საბუთებს შევეხოთ, რადგან ეს კედლისთვის ცერცვის შეყრა იქნებოდა, მოვიყვანთ მხოლოდ მისი წერილის ერთს ადგილს, რომ მკითხველმა ნათელი წარმოდგენა იქონიოს ჩვენებურ ზოგიერთა მასწავლებლების გონებრივ ზნეობრივ ავლადიდების შესახებ.

„ელვა“ სწერს: „განა კომისრებ-მილიციონერებისთვის თუ მოეპოვებათ თვეში ოცდახუთ-ორმოცი თუმნები, სოფლის მასწავლებლებს ვერაფერი წყარო გამოუჩინეს“.

ვინც სოფელში ერთხელ მაინც ყოფილა ამ რევოლიუციის დროს, მან კარგათ იცის, რომ სწორეთ სოფლის კომისრები და მილიციონერები უჯამაგიროთ მსახურებენ, მათ დანიშნული აქვთ რვა თუმნიდან თორმეტ თუმნამდე, მაგრამ თითქმის არც ერთს მათგანს ჯერ არ მიუღიათ ჯამაგირები.

ვიმეორებთ, ჩვენ იმედი არა გვაქვს, რომ „ელვას“ მსგავსი მასწავლებლები ჩვენს აზრს და სურვილებს გაიგებენ: ძველი წყობილების დროს მრავალმა უსწავლელმა და საეჭვო ღირსების ადამიანმა მოიყარა აქ თავი. „ავგიოსის თავლები“ საფუძვლიან გაწმენდას მოითხოვენ, რაც დღეს, საუბედუროდ, შეუძლებელია.

ჩვენ იმედს ვამყარებთ მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებელთა დემოკრატიულ და შეგნებულ ნაწილზე. ამათი ვალია იმოქმედონ თავის შეგნებულ ამხანაგებზე და გაფიცვა შესწყვიტონ, მით უმეტეს, რომ პრინციპიალურათ უკვე გადაწყვეტილია შარშან ოქტომბრიდან ოცდა ერთი თუმანი ეძლიოს მასწავლებელს თვიური ჯამაგირი.

ვისაც აქვს ყური სმენათ, ისმინოს.

## პრესა

ბალშევიკები ქირვეულ დედამთილივით იქცევიან: რასაც თითონ გააკეთებენ, მოსწონთ, ხოლო თუ იმასვე აკეთებთ თქვენ, აგიხირდებიან და ქვას და გუნდას მოგაყრიან. ასე იქცევიან „მობილიზაციის“ შესახებაც. ამას წინეთ თითონ დასწერეს „კავკაზსკი რაბოჩ“-ში და თითონ მოუწოდებდენ ჯარს ფრონტს ნუ დასტოვებთო. როცა ასეთივე მოწოდება გამოვიდა ჟორდანია-რამიშვილის ხელმოწერილი, ბალშევიკებმა ეს რევოლიუციის ღალატათ გამოაცხადეს.

„ბრძოლა“ ასე აგვიწერს ამ ამბავს:

„მას შემდეგ, რაც ქართველ მენშევიკების ლიდერებმა ქართულ ნაციონალურ საბჭოში მოიკალათეს, ისინი ომის გუნებაზე დადგენ. ქართული ნაციონალური საბჭოს ერთ უმთავრეს მოვალეობათ ქართული ჯარის მოწყობა შეიქმნაო“.

მერე რას ხედვენ აქ ბალშევიკები საწინააღმდეგოს? როცა ჯარმა ფრონტი მიატოვა, სხვა რა გზა დარჩენილიყო, თუ არ ადგილობრივ ჯარების შედგენა. ან იქნებ „ბრძოლა“-ს ის მიაჩნია იდეალათ, რომ თათრები, სომხები, რუსები და ქართველები ერთმანეთს აურიონ და გაუგებარ ენაზე ავარჯიშონ, სომეხი, მაგალითად, ოზურგეთში დააბინაონ, ხოლო ქართველი ერევანში?

„ბრძოლა“-ს კი ასეთი დასკვნა გამოჰყავს:

„როგორც ხედავთ, ქართველი მენშევიკები აშკარათ და მიკიბ-მოუკიბავათ (ალბათ ახალი ტერმინია—მეპრესე) მოუწოდებენ ქართველ ხალხს მუდმივი ჯარის მოსაწყობათ“-ო.

ასე „მიკიბ-მოუკიბავათ“ ტყუიან „ბრძოლის“ ხელმძღვანელები, თორემ, აბა, საიდან გაიგეს მუდმივი ჯარის მოწყობის სურვილი, როცა ჩვენ მხოლოდ **ექვსი** თვით ვფიქრობთ მოვიწვიოთ ჯარისკაცები და ისიც მხოლოდ რამდენიმე წლის ასაკის.

„ამ ნაირათ ქართველმა მენშევიკებმა თითქმის სრულებით უკუაგდეს ინტერნაციონალიზმის პრინციპები“-ო.

ჩვენ არ ვიცით, თუ რომელ პრინციპებზე ლაპარაკობენ ბალშევიკები. ნუ თუ მათ გონიათ, რომ თავის დაცვა ინტერნაციონალიზმის პრინციპებს ეწინააღმდეგება. თუ ასეა, მაშინ ხომ საუკეთესო ინტერნაციონალისტები იქნებიან ის ჯარისკაცები, რომელნიც ფრონტიდან შინ გარბიან. რაღათ ეპატიჟებოდით მაშინ ამ ჯარისკაცებს ფრონტს ნუ დასტოვებთო?

ბალშევიკები განსაკუთრებით აღუშფოთებია ჩვენი წერილის ერთს ადგილს სახელდობრ:

„ჩვენ ვერ დავუშვებთ მოსალოდნელ დარბევას, ჩვენი ცოლშვილის შეურაცყოფას, მამა-პაპის საფლავის წაბილწვას, ჩვენი ქონების განადგურებას და სახელის გატეხას“, „ბრძოლას“ მოყავს ეს ადგილი და დასძენს: „ცნობილი ენაა ყველა შოვინისტების და ყველა ჯურის ნაციონალისტებსო“.

რასაკვირველია, ჩვენი გაზეთის ენა არ მოეწონება თედორეების და ფ. მ. გაზეთს, მაგრამ ჩვენ ვეკითხებით ბალშევიკებს: ნუ თუ დემოკრატიამ არ უნდა დაიცოს თავისი ცოლ-შვილი და ქონება, ნუ თუ აბუჩათ ასაგდებია მამა-პაპათა საფლავი? მაშ, რათ მიდიან ხოლმე მოწიწებით მარქსის საფლავზე, რათ მიდის ხოლმე ყოველ წლობით კომუნარების საფლავზე პარიზის პროლეტარიატი? ან იქნებ ბალშევიკებისთვის სასიამოვნოა ის, რომ მაჰმადიანების სასაფლაოზე ტრაპიზონში გინდ სხვა ადგილებში ჯარისკაცების ცხენები სძოვდენ?

# დამფუძნებელი კრების გარშემო

დამფუძნებელ კრების დეპუტატი ოგანჯანოვი დონის როსტოვიდან პირდაპირი მავთულით შემდეგს ატყობინებს ამიერ კავკასიის კომისარიატს დამფუძნებელ კრების შესახებ:

დამფუძნებელმა კრებამ პირველ დღესვე მიიღო სამი კანონი: მიწის საკითხის, რუსეთში ფედერატიულ რესპუბლიკისა და სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის შესახებ. ბალშევიკებმა, გამოსცეს რა დეკრეტი დამფუძნებელ კრების გარეკის შესახებ, იმავე დროს ალიარეს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონები ძალაში შესულათ და სავალდებულოთ მთელი რუსეთისთვის. ახალი ცნობები არა გვაქვს. ჩერნოვი და წერეთელი ცოცხალია. ხმები ლენინის მოკვლის შესახებ არ აღმოჩნდა მართალი, უკანასკნელი ცნობები მივიღეთ მოსკოვიდან 10 იანვარს. იტყობინებიან, რომ დამფუძნებელ კრებამ გადასწყვიტა განაგრძოს სხდომები „მანეჟში", კრებას პრეობრაჟენსკის პოლკი იცავს. არის შეუმოწმებელი ხმები ადესიდან, ვითომ სემიონოვის, პავლოვის და პრეობრაჟენსკის პოლკები გარს შემოერტყენ სმოლნი ინსტიტუტს, სწარმოებს ბრძოლა, ლენინი მოკლულია, კამისარები დატყვევებულია. დამფუძნებელმა კრებამ მიმართა ყველა სახელმწიფოებს მოიწვიონ კონფერენცია ზავის ჩამოსაგდებათ.

---

გუშინ, 16 იანვარს, შუადღისას თფილისში შემდეგი დეპეშები მოვიდა.

**პეტროგრადი.** 5 იანვარს მეზღვაურებსა და წითელ გვარდიელებსა და მშვიდობიან მანიფესტანტებს შორის დიდი შეტაკება და სისხლის ღვრა მოხდა, რომლის დროსაც მოჰკლეს ცენტრალურ კომიტეტის წევრები ლოგინოვი და გორბაჩევსკაია. ხალხს ტყვიის მფრქვეველებს ესროდენ. ბევრია მოკლული. მოკლულების დასაფლავებას 50,000 კაცი დაესწრო. ასეთივე დემონსტრაციები იყო მოსკოვში 5 და 9 იანვარს. იქაც წითელ გვარდიელებმა მანიფესტანტებს თოფები დაუშინეს.

დამფუძნებელ კრების წევრებს უნდოდათ მარინეს სასახლეში შეკრება, მაგრამ ვერ მოახერხეს.

5 იანვარს დემონსტრაციის დროს ხიშტით კისერში და ბეჭში მძიმეთ დასჭრეს მაქსიმ გორკი. ჭრილობები მძიმეა, მაგრამ იმედია გორკი სიკვდილს გადარჩება.

ს.-რევოლიუციონერების ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა აუკრძალოს კერენსკის დამფუძნებელ კრებაში მისვლა. კერენსკიმ განცხადება გაუგზავნა, რომ მას სურდა დამფუძნებელ კრების პირველ სხდომაზე დასწრებოდა. ცენტრალური კომიტეტი არ დაეთანხმა.

7 იანვარს ღამით სახალხო კომისარების განკარგულებით მრავალი ჩხრეკა და დატუსაღება მოახდინეს. დაატუსაღეს დამფუძნებელ კრების წევრნი, მათ შორის მერკულოვი, ლუკიანოვი, ფატეევი, ეფრემოვი და სხვები. გაფაციცებით ეძებდენ ზენზინოვს და წერეთელს, მაგრამ ამაოთ, ვერსად ვერ მიაგნეს. სადგურზე მოინდომეს დამფუძნებელ კრების წამსვლელ დეპუტატების დაკავება. დაატუსაღეს ს.-რევოლიუციონერთა პეტროგრადის კომიტეტი და „დელო ნაროდას" რედაქციის წევრები.

**ნოვოჩერკასკი.** 15 იანვარი. ოფიციალურ წყაროებიდან მოსულ ცნობით მტკიცდება, რომ ლენინი მოუკლავთ. ამას ამტკიცებს პეტროგრადიდან მოსული 13 იანვრის დეპეშა.

**ადესა.** ქალაქი ბალშევიკებმა ჩაიგდეს ხელში, ქუჩებში ბრძოლაა. წითელგვარდიელებმა დაიპყრეს არსენალი და სახელმწიფო ბანკი.

**ტაგანროგის** მახლობლათ (დონის ოლქში) ბრძოლაში სასტიკათ დამარცხდენ ბალშევიკები.

**კიშინიოვი.** რუმინიის ჯარმა კიშინიოვი დაიპყრო; გალაცს ზარბაზნები დაუშინეს. მეორე არმია ბუკოვინიდან რუმინიაში შეიჭრა

**ვლადივოსტოკი.** 5 იანვარს მოვიდა იაპონიის მეორე ჯავშნოსანი. იაპონიის ოფიციალური გაზეთები ამბობენ, რომ უკეთუ რუსეთმა სეპარატიული ზავი შეჰკრა, იაპონია ვლადივასტოკს დაიკავებს და ჩინელებთან ერთად ციმბირს ხელში ჩაიგდებს.

იაპონიის, ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის 5 ჯავშნოსანმა ვლადივასტოკში დესანტი გადმოსხა, დაიკავეს ნავთსადგური და დააწესეს ელჩების კანტროლი ირკუტსკამდე.

# კავკასიის ფრონტი

**ტრაპიზონიდან** სერებროვსკი საარმიო ცენტრს შემდეგს ატყობინებს: როგორც იქნა შიმშილობას თავი დავაღწიეთ. დიდძალმა ჯარმა მოიყარა თავი აქ ფრონტიდან. ჩვენ მიერ გაგზავნილმა დელეგაციამ საკმაო სურსათი იშოვა ბათუმში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში. ამ მხრით მდგომარეობას არა უშავს, მხოლოდ „ფურაჟი" არ მოგვეპოვება. დიდძალი ჯარია ტრაპიზონში თავ-მოყრილი, დაიწყო „პოგრომები", ძარცვა-გლეჯა, ღამით სროლა. რამდენიმე მილიონის ქონება უპატრონოთ ჰყრია. საჭიროა ამ ქონების დასაცავად ერთი პოლკი ჯარის გამოგზავნა და აგრეთვე ორი ათასი მუშა, რომელთაც გულ-დასმით შეეძლებათ მუშაობა, ვინაიდან აქ მყოფნი ყველანი სახლში წასვლის სენს შეუპყრია. ყოველგვარ ზომებს ვხმარობთ, რომ ანარქიის მსხვერპლი არ გავხდეთ. ორი უკანასკნელი ღამე მშვიდათ ჩატარდა.

---

ბაქოს (სპარსეთი) რკინის გზის უფროსი იტყობინება 13 იანვრის თარიღით: დღეს ბაიაზეთიდან გაგზავნილი დამხმარე მატარებელი, ტელეგრაფის აღსადგენათ დაიმსხვრა. არიან დახოცილ-დაჭრილნი. მას შემდეგ, რაც მე-14 ჩათალიონმა დაგვტოვა, არა გვყავს არც მუშები, არც მოსამსახურენი, არც დარაჯები. ამას წინეთ სად. დონგუჩალთან მატარებელს თავს დაესხენ და სროლა აუტეხეს. ამის გამო ბაიაზეთ-ბაგიზრიანის ნაწილის მოსამსახურეებმა სამსახური დასტოვეს. მატარებლების მიმოსვლა მოხალისეთა შემწეობით ხდება. ღვთის ანაბარათ ვართ მიტოვებულნი. დაგვეხმარეთ. საკუთარი ძალით ვერას გავხდებით.

# ომი დასავლეთ ფრონტზე

თფილისში ინგლისური წყაროებიდან მიღებული ცნობებით 6 იანვარს გერმანელებს რამდენიმე უშედეგო იერიშები მიუტანიათ ნევ-შაპელთან და ლანსთან, ინგლისელებს იერიშები მოუგერიებიათ. ინგლისელებს ჩამოუგდიათ აქ ნემცების ოთხი აეროპლანი. 5 იანვრის ცნობით ინგლისის ჯარი წინ წასულა პალესტინაში იერუსალიმის ჩრდილოეთით 12 ვერსის მოშორებით. 7 იანვარს „გებენი" და „ბრესლაუ" შავი ზღვიდან ცდილან ხმელთა შუა ზღვაში გადასვლას, მაგრამ „ბრესლაუ" ჩაუძირავთ, „გებენი" დარდანელის სრუტეში ნაპირთან გარიყულა. ეს გემი დიდათ დაუზიანებიათ. აეროპლანებს მისთვის ყუმბარები დაუყრია, ინგლისელების მფრინავებს ყუმბარები ბლომათ ჩაუყრიათ გერმანიის ქალაქ ტიონვილში მდებარე ფოლადის ქარხანაში და ბენსდორფის რკინის გზის სადგურზე, კილიდან გაქცეულ დეზერტირ აფიცერს უთქვამს, რომ გერმანიის ტრალერთა ეკიპაჟი დიდათ დაზარალდა ინგლისელებთან ბრძოლის დროს, თითონ მეზღვაურნი აჯანყდენ და გამბურგში დაბრუნდენო. ჯავშნიან მოტორიან ნავს მოუკლავს 44 აჯანყებული მეზღვაური და დაუჭრია 73.

**ამხანაგებო! დააჩქარეთ გაზეთზე ხელის მოწერა. გაავრცელეთ თქვენი ინტერესების დამცველი გაზეთი „ერთობა".**

# განჯიდან გამოფრენილის ნაამბობი

განჯიდან მოფრინდა პორუჩიკი ტერმინასოვი და პორუჩიკ ლეონტიევთან ერთად და ამიერ კავკასიის კომისარიატის კრებაზე შემდეგი მოხსენება გააკეთა:

12 იანვარს გავფრინდით კახეთის რკ. გზის სადგურ ვაზიანიდან და აქსტაფამდე 300 მეტრის სიმაღლეზე მივფრინავდით. რკინის გზაზე მოძრაობა ვერ შევამჩნიეთ. აქსტაფის იქით ახლოს ეშელონი იდგა. აქსტაფიდან შამხორამდე ყველა სოფლებში ცეცხლი მოსჩანდა. აქსტაფიდან იძულებული შევიქენით მაღლა აფრენილიყავით, რადგან სროლა აგვიტეხეს. განჯაში გვინდოდა ქალაქში ჩამოვფრენილიყავით თათრების ნაწილში, მაგრამ, რადგან თოფებს გვესროდენ, იძულებული შევიქენით ქალაქის განაპირა მდინარე განჯინკის ნაპირზე ჩამოვფრენილიყავით. დავეშვით თუ არა მიწაზე, სადგურიდან სროლა დაგვიწყეს და აპარატი შვიდ ადგილას გაგვიხვრიტეს ტყვიით. საჩქაროთ მოვიდა კომისარი და ცხენოსანთა რაზმი ჩვენს დასაცავათ და თოკებით აპარატი ახლო ქუჩაში გაათრიეს. ყველა ქაღალდები გარდავეცით. განჯაში შაუმიანი არის ბაქოს დელეგაციასთან ერთათ, რომელმაც იკისრა მშვიდობიანობის ჩამოგდების საქმის მოგვარება. იგინი 12 იანვარს წავიდენ სადგურზე, მაგრამ შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა, მატარებლიდან ძირს გადმოყარა ყველანი და ორთქლმავალი ხელში ჩაიგდო. შემდეგ რა ბედი ეწვია შაუმიანს და მის დელეგაციას, არ ვიცი.

აფხაზავას მოკვლა შემდეგ პირობებში მოხდა: კომისარ მალხაზოვს ბრძანება ჰქონდა მიმავალ ეშელონებისთვის იარაღი აეყარა. ასეთივე დეპეშა ჰქონდა თათართა პოლკის უფროსს მაღალოვსაც. არც სომხების ჯარს და არც აფხაზავას ასეთი ბრძანება არ ქონებია. მაღალოვს და ეფენდიევს (მაზრის კომისარი) ერთი მხრით და აფხაზავას მეორე მხრით ლაპარაკი მოუვიდათ. აფხაზავამ უარი სთქვა ზომები მიეღო იარაღის აყრის საქმეში, რადგან მას ამის განკარგულება არ ქონდა. ბოლოს მაინც წავიდენ, რომ ინცინდენტისთვის ბოლო მოეღოთ. გარეული დივიზიის ერთი აფიცერი ავიდა ბაქანზე, სადაც სამთო ზარბაზნები ეწყო. ის გააფრთხილეს ზონარისთვის ხელი არ ეხლო, რადგან ზარბაზნები გატენილი იყო, ამის შემდეგ ჯავშნიან მატარებელს ზარბაზანი ესროლეს. დაიწყო ბრძოლა. დაახლოვებით ეშელონის მხრით მოკლულია 1050 ჯარისკაცი და მრავალი უგზო-უკვლოთ დაკარგული. შტაბ-როტმისტრი აფხაზავა თეთრი ბაირაღით გამოვიდა ჯავშნიან მატარებლიდან და სთხოვა შეეწყვიტათ სისხლის ღვრა. ის იქვე მოჰკლეს. მისი რაზმიდან ზოგი დაიჭრა და ზოგიც სოფლებში გავიდენ, წართმეული იარაღი, რომლებიც ჯავშნიან მატარებელში ინახებოდა; ყ ჩაღებმა დაიტაცეს.

განჯიდან გამოფრენის დროს შევნიშნეთ, რომ თხრილებს აკეთებდენ. მხოლოდ დილის ათ საათზე მოვახერხეთ გამოფრენა. მცხოვრებლებს პირველათ ეგონათ, რომ სამტროთ მივედით, მაგრამ როცა გაიგეს, რაშიაც იყო საქმე, დამშვიდდენ.

# ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

**განჯიდან.** მალხაზოვი შემდეგს იტყობინება: „ამ ჟამათ ქალაქ ყაზახის კომისარისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მივიღე: სად. აქსტაფა, სოფელი ელისავეტინო და ქალაქი ყაზახი საშიშარ მდგომარეობაში არიან. გუშინ ეშელონების წასვლის შემდეგ ათასი კაცისაგან შემდგარი ბრბო შეესია დაცალიერებულ სადგურს, სოფელს და დაიწყეს ძარცვა. როცა აქსტაფაში მღელვარებამ იფეთქა, ყაზახში შეიარაღებულმა ბრბომ დაპატიმრებულები გაანთავისუფლა, მილიციონერებს იარაღი აჰყარა, მილიციის და საეტაპო პუნკტის სადგომები დაარბიეს. ყაზახში ნაუცბათევათ შესდგა თავ-დაცვის კომიტეტი, მაგრამ იმის გარანტია არ არის, რომ უზრუნველ ყოფილი ვიქნებით. მახლობელი სოფლებიდან მცხოვრებნი ქალაქისკენ მოიწევენ და ლამობენ შიგ შემოჭრას, მაგრამ ჯერ-ჯერობით იარაღით ვიგერიებთ. შევსძელით ხაზინის, ფოსტის და კომისარიატის სამმართველოს დაცვა. საჭიროა სამხედრო ძალის მოშველიება. ადგილობრივი მთავრობა უმწეოა. თავის მხრივ მალხაზოვი დასძენს, რომ ვინაიდან აქ არ მოგვეპოვება იქ გასაგზავნი ჯარი, ამიტომ გაცნობებთ თფილისში, რათა დაეხმაროთო.

**ბათუმი.** ბათუმში წესიერება არ დარღვეულა. ყოველ დღე იგზავნება 2000 ჯარის კაცი. ტრაპიზონიდან იტყობინებიან, რომ იქაც მშვიდობიანობაა, ბალშევიკები ყოველ ღონეს ხმარობენ, გააჩერონ ეშელონები და შემდეგ ზღვით გაგზავნონ ნოვოროსიაზე კალედინთან საბრძოლველათ,

ძანსულის ქარხნების რაიონიდან იტყობინებიან, რომ იქ არეულობა დაიწყო. თხოულობენ დახმარებას. გაგზავნეს რაზმი.

14 იანვარს მოვიდა ტრანსპორტი 5.000 ჯარისკაცით, მათ მოითხოვეს დაუყოვნებლივ გაგზავნა, მოლაპარაკების დროს მოხდა სროლა, არავინ მოუკლავთ. ბოლოს ჯარისკაცები გაგზავნილ იქნენ რკინის გზით. როგორც ჯარისკაცებმა სთქვეს, ტრაპიზონიდან ფეხით მოდის 6.000 ჯარისკაცი და ზღვით 4.000.

# სოხუმის ამბები

სოხუმის ქალაქის თავის ამხ. ბ. ჩხიკვიშვილისაგან გუშინ შემდეგი ცნობა მოვიდა: უკანასკნელ ხანებში სოხუმის ოლქი და კერძოთ ქალაქი სოხუმი მძარცველების და შანტაჟისტების სერბიელათ გადაიქცა. გახშირდა მკვლელობა. ამ მოვლენით იმდენათ დაშინებული იყვენ ქალაქის შეძლებული მცხოვრებნი, რომ ათი ათასობით გადაიხადეს მძარცველების სასარგებლოთ სასყიდლის სახით. ყველაფერი ეს ხდებოდა მთავრობისთვის გაუგებლათ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მთავრობა მეტად სუსტია და არც მცხოვრებთა უმრავლესობის ნდობით სარგებლობს ის. უკანასკნელ დღეებში ქალაქის ქუჩებში გამოსვლა შესაძლებელი იყო საღამოობით მხოლოდ იარაღით ხელში. ძარცვავდენ ყველას. ადგილობრივმა რევოლიუციონურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ამის გამო შეადგინეს შტაბი, რომელსაც გადაეცა მთელი ძალა-უფლება. 10 იანვარს ქალაქის შტაბის განკარგულებით ალყა შემოარტყეს მილიციონერებმა და აფხაზთა მხედრებმა. ორი დღე-ღამის განმავლობაში დააპატიმრეს საეჭვო პირნი. გამოირკვა, რომ ისეთი პირებიც კი სჩადიოდენ საზიზღარ საქმეებს, რომელნიც ნივთიერად უზრუნველყოფილნი არიან და ქონებრივათაც შეძლებულნი. გამოირკვა აგრეთვე, რომ შანტაჟისტებს მუქარით უკანასკნელ ხანებში მიუღიათ სხვადასხვა პირთაგან 50 ათასი მანეთი. იყო რამდენიმე თავდასხმა. დაჭრილია ორი. მოჰკლეს ს.-დ. კლ. მელაძე. იმ ზომამდე გათამამდენ მძარცველები, რომ სასტუმროებში თავისუფლად დადიოდენ. ერთი მათგანი ემუხვარი შეტაკების დროს მოჰკლეს. სამხედრო საგამომძიებლო კომისიამ თითქმის ყველა დამნაშავენი აღმოაჩინა. შესდგა სამხედრო სარევოლიუციო სასამართლო. ქალაქის მილიცია სამხედრო შტაბმა დაშალა. შეუდგენ ახალის შედგენას. 13 იანვარს საალყო წესები სამხედრო წესით შეიცვალა. მცხოვრებლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. სამხედრო შტაბს ყველა მხარს უჭერს.

# სპარსეთის დამოუკიდებლობა

კავკასიის გენერალური ელჩის საშუალებით აცნობა სპარსეთის მთავრობამ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ ყოველგვარ საიდუმლო თუ აშკარა ხელშეკრულობებს და კონვენციებს, რომლებიც მიმართული იყო სპარსეთის მთლიანობის, მისი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ის აცხადებს გაუქმებულათ, როგორც ისეთ აქტებს, რომლებიც აღმოცენდა ტლანქ ძალაზე დ მიმართული იყვენ თავისუფალი ხალხის ნების ძალათ ჩასახშობათ.

# დეპეშა

**გორი.** წითელ გვარდიელის ამხ. ტარიელაშვილის ვერაგულათ მოკვლამ რევოლიუციის ჯალათების მიერ მეტად აღგვაშფოთა გორის რაზმელები. ღრმათ დარწმუნებულნი ვართ, რომ თავისუფლების სამსხვერპლოზე მრავალ მსხვერპლს მივიტანთ კიდევ, მაგრამ ეს ჩვენ კიდევ უფრო გაგვამხნევებს და ჩვენს ძალას გააკაჟებს. ახალი გმირობისთვის რევოლიუციონურ ფრონტის დასაცავათ.

ცერცვაძე და გაბუნია.

**რამდენათ მეტი ვრცელდება გაზეთი, იმდენათ მას უადვილდება არსებობა. თვითეულმა საკუთრათ გამოიწერეთ გაზეთი „ერთობა".**

# ახალი ამბები

◆ **ამიერ-კავკასიის კომისარიატის** მოწვევით ორშაბათს, 22 იანვარს, შუადღის 12 საათზე სასახლეში გაიხსნება ამიერ-კავკასიის და კავკასიის ჯარების მიერ არჩეულ დამფუძნებელ კრების დეპუტატების კრება.

◆ **დამოკიდებულება მნიშვნელოვან ცენტრებთან.** ქალაქის საბჭომ 15 იანვრის სხდომაზე დაავალა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ალ. ლომთათიძეს, იქონიოს ახლო დამოკიდებულება რუსეთის ყველა მნიშვნელოვან ცენტრებთან, რომ შესაძლებელი გახდეს რუსეთში მომხდარ ამბების სისწორით გაგება.

◆ **მოძრაობა ბაქოსა და თფილისს შუა.** ამიერ კავკასიის კომისარიატის ცნობით, თფილისსა და ბაქოს შუა რკინის გზაზე მოძრაობა უკვე აღდგენილია.

◆ **მტკიცე ფასები თევზზე.** სასურსათო საქმეთა კომისარიატთან შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გადასინჯოს ზოგიერთ თევზეულობაზე არსებული მტკიცე ფასები.

◆ **ვინტოვკის გაყიდვისთვის** მილიციის უფროსმა 3 თვით დაატუსაღა ლუკა მეტრეველი.

◆ **დელეგაცია ქალაქის თავთან.** გუშინ ქალაქის თავთან გამოცხადდა განაპირა უბნების, განსაკუთრებით დედაკაცების დელეგაცია. სთხოვეს ქალაქის თავს პურის ულუფის გადიდება 1 გირვანქამდე დღეში თვითეულ სულზე. ქალაქის თავმა გააცნო მათ ის გარდაუვალი მიზეზები, რომლებიც აიძულებენ ქალაქის თვითმართველობას სამი მეოთხედი გირ. განსაზღვროს პურის ულუფა.

◆ **შრომის ბირჟა.** 1 იანვრიდან 7-მდე თფილისის ქალაქის შრომის ბირჟის მოქმედება შემდეგში გამოიხატა: ჩაეწერა 290 ახალი უმუშევარი, ამათგან 136 მამაკაცი და 154 ქალი. ბირჟაში გამოცხადდა სულ 477, მათ შორის 224 მამაკაცი და 253 ქალი. ახლად ჩაწერილები პროფესიის მიხედვით შემდეგნაირათ განაწილდებიან: მექანიკოსები, ჩაქუჩის დამკვრელნი, ზეინკალნი, ელექტრო-ტეხნიკოსები, ტეხნიკნი, დურგალნი, ხუროები, ასოთ-ამწყობნი, მეაფთიაქე, ლაბორანტნი, მხატვარნი, მიწის მზომელნი, საცვლების მკერავნი, დამკერებელნი, მებუფეტენი, ნოქარნი და სხვა.

მოთხოვნა იყო 81 მუშის შესახებ,— ამათში 57 მამაკაცის და 22 ქალის.

სულ სამუშაოზე გაიგზავნა 93, ამათში 77 მამაკაცი და 16 ქალი. არა თავის პროფესიის გაიგზავნა 37 მუშა.

◆ **ქურდების დახოცვა.** გუშინ, დაახლოვებით დილის 5 საათზე, ბოროტგამზრახველებმა გასტეხეს არუთინოვის ფეხსაცმელების მაღაზია (ვორონცოვის ძეგლთან). სამი ტომარა უკვე აავსეს ფეხსაცმელებით, მაგრამ მალე იქნენ შენიშნული მილიციონერების მიერ. ქურდებმა დააპირეს გაქცევა. ერთი იქვე მოკლეს, ერთი შეიპყრეს, ხოლო სამმა მოახერხა მიმალვა. დატუსაღებული მძარცველი სამილიციო კომისარიატში წარადგინეს. იქ მან მოინდომა გაქცევა, ამიტომ მოკლულ იქნა მილიციონერების მიერ.

◆ **აფხაზავას ცხედრის ჩამოსვენება.** გუშინ თფილისში განჯიდან ჩამოასვენეს აფხაზავას ცხედარი.

◆ **თბილისის კულტურ-ტეხნიკურ სასწავლებლის** მოწაფეთა აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს, რომ მეცადინეობა სასწავლებელში დაიწყება 20 იანვარს.

◆ **თფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიაში** სწავლა დაიწყება 25 იანვარს.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს, სახალ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ჰაერმანსის დრამა „იმედის დაღუპვა". დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 40 კ.—35 კაპეიკამდე.

◆ **შემოწირულება.** ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა მიიღო მ. ფირცხალაიშვილისა და ი. დოლიძისაგან ქ. ოფის მეთორმეტე მუშათა დრუჟინის სოციალდემოკრატიულ ჯგუფის მიერ შეგროვილი 254 მან. 65 კ.

◆ **თფილისის პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებელში** სწავლა დაიწყება 18 იანვარს.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 7 ს., სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს., სასახლის თეთრ დარბაზში დანიშნულია კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სხდომა.

— დღეს საღამოს 5 საათზე, დანიშნულია პირველ რაიონის კოლექტივის სხდომა.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, ერთობის უბნის მუშათა კლუბში გააკეთებენ მოხსენებას დამფუძნებელ კრების გარეკის (ხელაძე) და მიმდინარე მომენტის შესახებ.

# პროვინციის ქრონიკა

**ბათუმი.** კვარცხანის სპილენძის ქარხნის მუშებს არ მიუღიათ სექტემბრის თვის ჯამაგირის ნაწილი. ნოემბრის და დეკემბრის ჯამაგირები სრულიად არ მიუღიათ, ამიტომ ჯამაგირებით დაკმაყოფილებამდე მუშებმა გადასწყვიტეს გამოცხადებული გაფიცვა განაგრძონ.

---

**დ. ხაშური.** დაიშალა ხაშურში მდგომი სამხედრო გარნიზონი. აქ იდგა: 282 უფიმსკი დრუჟინა, სადაც 600 კაცამდე ირიცხებოდა და რომელიც რკინის გზას იცავდა, მესამე როტა ამიერ კავკასიის რკინის გზის ბათალიონისა, საკანტროლო როტა და სურსათის მიმწოდებელი სამხედრო პუნქტი, დაახლოებით 1000 კაცზე მეტი. ჯარისკაცების უმრავლესობამ იარაღი თან წაიღო. დაიტაცეს აგრეთვე სამხედრო ქონების ნაწილი: ტანისამოსი, სურსათი და სხვა. ხაშურ-ბორჯომ-სურამის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა შეერთებულმა საბჭომ თავის დროზე მიიღო შესაფერი ზომები, მიუჩინა დარჩენილ ქონებას წითელი გვარდია და დარჩენილი ქონება გაფლანგვას გადაარჩინა.

---

**სოფ. თიღვა** (ავლევის საზოგადოება). ჯარიდან გამოქცეულმა დეზერტირმა სოფ. თიღვის მცხოვრებმა ლევან ჯახველაძემ მოჰკლა თოფით ამავე სოფლის მცხოვრები ლუკა ოსიტაშვილი. მკვლელი დაატყვევეს. გამოძიების დროს მკვლელმა სთქვა, რომ როდესაც ჯარში ვიყავი, ოსიტაშვილმა ამაჩემს მამული ჩამოართვა და ეხლა შური ვიძიეო. ხალხში-კი ხმები დადის, ვითომც ოსიტაშვილის მკვლელი ვინმე ტრანკაძეა, მხოლოდ ამ ჯახველაძისათვის ფული მიუცია, შენ დაიბრალე მკვლელობაო. ეს მოხდა 2 იანვარს.

---

**სოფ. წყვდელისი** (ქართლი). სოფ. წყვდელისის მცხოვრები ნიკო ბეკოშვილი 7 იანვარს ნაჯახით მოჰკლა თავის ძმამ სარდიონ ბეკოშვილმა. მკვლელმა სთქვა, უზომო მთვრალი ვიყავი და რისთვის მოვკალი არ მახსოვსო.

---

**სოფ. ვარდის-უბანი** (მოხისის საზოგადოება). 1 იანვარს ღამე ხუთი შეიარაღებული ყაჩაღი დაეცა ამ სოფლის შეძლებულ გლეხს დავით გოგოტიშვილს, წაართვეს 4000 მანეთი ფულათ და 2000 მანეთის ღირებული ნივთები და მიიმალენ.

---

**ქართლი.** რაც რომ ფრონტიდან ჯარი წამოვიდა და შეიარაღებული ჯარისკაცები სოფლად მოვიდნენ, ქართლში ყაჩაღობამ იჩინა თავი და არ გაივლის დღე, რომ სადმე ან არ დაეცენ ვისმეს და ან მკვლელობა არ მოახდინონ. ზოგი ამ უბედურების მიზეზათ ასახელებს ძველ შანტაჟისტებს ჯარისკაცების ქურქში გამოხვეულს, ზოგი დეზერტირებს და ზოგიც კიდევ ფრონტიდან დაბრუნებულთ. არავინ უწყის ვინ სჩადის ამ ბოროტ მოქმედებას. მხოლოდ ქართლში თანდათანობით იკიდებს ფეხს ანარქია და ხალხიც დიდ შიშს განიცდის.

# მასწავლებელთა გაფიცვის გამო

**ჩოხატაურის რ. ს.-დ. მ. პ.** კოლექტივი გამოთქვამს ღრმა მწუხარებას იმის შესახებ, რომ მასწავლებელთა უმრავლესობამ ვერ გაამართლა ის იმედები, რომელიც იყო საზოგადოების და რევოლიუციის წინაშე მათზე დამყარებული.

კოლექტ. სცნობს რა დღევანდელ საშინელ პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისს, როგორც რუსეთში, ისე კავკასიაში, სასტიკათ გმობს მასწავლებელთა გაფიცვას, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც კავკასიის კომისარიატმა ჯამაგირები მოუმატა მათ.

კოლექტივი მოუწოდებს ყველას და კერძოთ მის დემოკრატიულ ნაწილს, რათა არა სასურველი როლი თავიდან აიშორონ და მეცადინეობას შეუდგენ.

**ჩოხატაურის რ. ს.-დ. კოლექტივი.**

**ყოველი პარტიის წევრი მოვალეა საკუთრათ გამოიწეროს პარტიის ცენტრალური ორგანო „ერთობა".**

# უცხოეთი

ავსტრო-უნგრეთში დიდი გაფიცვებია. ხალხი მოითხოვს დაუყოვნებლივ ზავს. ვენაში 200 ათასი მუშაა გაფიცული გაფიცვა გრძელდება. ბუდაპეშტშიაც დიდ გაფიცვებს ჰქონდა ადგილი.

# მუშათა სექციაში

13 იანვარს თფ. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის კრებაზე ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. ალშვანგმა მოხსენება გააკეთა სურსათის საქმის შესახებ. მომხსენებლის გამოანგარიშებით ქალაქს ყოველ დღე სჭირდება სამ ვაგონზე მეტი ფქვილი, უკეთუ თვითეულ სულზე განაწილებულ იქნა ნახევარი გირვანქა პური, ხოლო დღეს, როცა ბოროტმოქმედებას ჩადიან როგორც მეფურნეები ისე ზოგიერთი მცხოვრებნიც, ქალაქს დღეში უნდება 4 ვაგონზე მეტი ფქვილი. ჩრდილო კავკასიიდან არავითარი სურსათი არ მოდის. უკანასკნელ კვირეში ქალაქი იკვებებოდა მხოლოდ შემთხვევითი რეკვიზიციით. 12 ვაგონი ფქვილი მიიღო ქალაქმა პეტროვსკში ჩამორთმეული, 3 ვაგონი ბათომიდან და ფოთიდან. ფქვილის რეკვიზიცია მოახდინეს ზოგიერთ ლაზარეთებში და სხვა დაწესებულებებში. რადგან საქართველოს სამხედრო გზით ფქვილის გადმოზიდვა რაც დღე გადის მეტ ხარჯებს თხოულობს და ამიტომ ქალაქის გამგეობა იძულებულია პურის ფასს მოუმატოს 23 კ. 25 კაპეიკამდე და შემდეგში შეიძლება კიდევ მეტი. ქალაქის სასურსათო განყოფილება ყოველივე ღონეს ხმარობს ალაგმოს სპეკულიანტები, ცდილობს შეამოკლოს კერძო ფურნეებში პურის ცხობა და ქალაქის ფურნეებში აცხოს. წინათ ამ საქმეს ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ფქვილის და პურის გადაზიდვ-გადმოზიდვა უჭირდა, ეხლა შეიძინეს 70 „პოდვოდი" განაპირა უბნებში პურის გადასაზიდათ.

მეტად ბოროტათ ხმარობენ დაკარგულ ბარათებს. ხანდახან დღეში 6 ათასი განცხადება შემოდის ბარათების დაკარგვის შესახებ. რომ ეს ბოროტება შეესუსტებიათ, სასურსათო განყოფილებამ გააძნელა ხელ-ახლა პურის ბარათების აღება, რამდენიმე დღეს აცდევინებდა მათ, ზოგიერთებზე ამან გასჭრა, მაგრამ ზოგიერთებმა კი ამ ზომასაც გაუძლეს და ისევ მიიღეს ბარათები. ამ ბოროტებასთან ბრძოლა შეუძლია მხოლოდ სახლების კომიტეტებს.

ხორცი ქალაქში არ არის, რადგან მეყასბეებმა ნიხრზე ხორცი არ გაყიდეს და საქონელს აღარ ჰკლავენ. ქალაქის გამგეობამ მოახდინა საქონლის რეკვიზიცია და თვითონ დაჰკლა საქონელი. თვითეულ მეყასბეს მისცემენ დღეში 20 ფუთ ხორცს, თითო გირვანქაზე დაადებენ თითო კაპეიკს გადასახადს და აქედან შემოსული ფულით შეინახვენ კანტროლიორებს.

აღმოსავლეთ კავკასიაში მომხდარ ამბების გამო საქონლის ფასმა აიწია, ამიტომ ხორცის ფასიც აიწევს.

ნავთის მოწოდება ბაქოდან სრულიად შესწყდა ბაქოს გზის აოხრების გამო. ამიტომ გადაწყვეტილია შემოიღონ ნავთზე ბარათები, თითო სულს მისცემენ ათ დღეში ორ გირვანქა ნავთს. თევზი ქალაქში არ შემოდის, რადგან რკინის გზის მოძრაობა არეულია და აგრეთვე თევზზე მაგარი ფასების დაწესების გამო.

განზრახულია სიმინდზე ნიხრი შემოიღონ. რომ სურსათის განაწილების საქმე მოწესრიგდეს და „კუდები" აღარ იყოს ქუჩებში, გადაწყვეტილია შეადგინონ სახლების კომიტეტები. 1 თებერვლიდან მათი შედგენა სავალდებულო იქნება.

შემდეგ კრება შეეხო დამფუძნებელ კრების გარეკის ამბავს. ამხ. გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ დამფუძნებელ კრების გარეკის ამბავი უკვე ფაქტი შეიქნა, ის შედეგია ბალშევიკების დიქტატურის, სანამდე მიიყვანს მათ ასეთი პოლიტიკა

...არავინ იცის. ამ მდგომარეობის წყალობით კავკასია სრულიად მოსწყდა რუსეთს და ჩვენ საკუთარი ძალ-ღონით უნდა შევეცადოთ გავამაგროთ ჩვენი ფრონტი რეაქციასთან საბრძოლველათ.

გეგეჭკორის შემდეგ ილაპარაკა ამხ. ქ. ჩხეიძემ, რომელსაც კრება დიდი ოვაციით შეხვდა.

„რევოლიუციონურ დემოკრატიის ერთმა ნაწილმა ჩემი მოღვაწეობის შესახებ სასტიკი განაჩენი გამოიტანა—სთქვა მან, მაგრამ მომავალი დაგვანახვებს რამდენათ მართალი იყვენ ეს სასტიკი მოსამართლეები. ის ხალხი, რომელსაც ლიდერებს ეძახიან, არის მხოლოდ მასის ნების გამომხატველი. ეხლა ლენინს კი არ მიჰყავს მასა, მასას მიჰყავს ლენინი. დიდი გამჭრიახობა და ცოდნა არ არის საჭირო, რომ გავიგოთ—ვინ არის ბალშევიკი, ის არის კაცი, რომელიც ცხოვრებას თავი ბიუჯეტის მიხედვით კი არა, არამედ ისე, უანგარიშოთ, ის ანგარიშს არ უწევს რეალურ შესაძლებლობას. ასეთ განსაკუთრებულ ხასიათში არის ერთგვარი სილამაზე, ამაში გამოიხატება ადამიანის ფართე ბუნება, მაგრამ ეს განხორციელებული ხასიათი ემჩნევათ უმეტესათ ბავშვებს და იმ ხალხს, რომელიც განვითარების უკანასკნელ საფეხურზე დგას. მაგალითად, ომის მოსასპობ ერთ საშუალებათ ბალშევიკებმა წამოაყენეს დაძმობილება. რომ ეს საშინელი ომი და პროლეტართა სისხლის ღვრა კოცნით გათავდეს ლამაზი იდეიაა, მაგრამ საკვირველია რათ ვერ გამოიყენეს ეს იდეია დასავლეთის ფრონტზე, სადაც იბრძოდენ პროლეტარიატის უფრო კულტურული წარმომადგენელნი. ეს ნაკლები კულტუროსნობის ნიშანია, რუსის ჯარისკაცი დარწმუნებული იყო, რომ კოცნით გათავდებოდა ომი. ასე ხდება დღესაც. ბალშევიკებს უნდათ დამფუძნებელ კრების იდეია დაუყოვნებლივ სოციალიზმის განხორციელების იდეით შესცვალონ. საჭირო ზავის ჩამოგდება და რუსეთის გაერთიანება კი შეუძლია მხოლოდ დამფუძნებელ კრებას. დამფუძნებელ კრების გარეკა მთელი რუსეთის ხალხის წინაშე ჩადენილი მიუტევებელი ცოდვაა. დამფუძნებელ კრებისთვის ბრძოლა—დღიური ლოზუნგია. „დამფუძნებელი კრება მოკვდა! გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!—ათავებს თავის სიტყვას ორატორი.

# მუშათა წერილები

## ბალშევიკები და მენშევიკები.

II

როგორც წინათ მოვიხსენიეთ, ყველა ის რადიკალური მოთხოვნილებები, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ წამოაყენა ხორცს ვერ ისხამდა კოალიციონურ მთავრობის დროს, რაიც ძლიერ აფერხებდა რევოლიუციის გაღრმავებას და განვითარებას. ერთი ამ მოთხოვნილებათა უმთავრეს მუხლათ უნდა ჩაითვალოს ზავის საკითხი, რომლის გადაჭრასთან მჭიდროთ იყო დაკავშირებული რევოლიუციონური ჯარი. სამი წლის განმავლობაში დაღლილ-დაქანცული მხედრობა გულის ფანცქალით მოელოდა იმ წუთს, როდესაც ეღირსებოდა დაბრუნებოდა თავის სახლ-კარს. როგორი ღირსებისაც უნდა ყოფილიყო ეს ზავი, მისთვის სულ ერთი იყო და ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ რუსეთის მხედრობა, რომელიც თვითმპყრობელობის მეოხებით საშინელ გონებრივ სიღატაკეში იმყოფებოდა, ვერ შეეგნო ის, თუ რა მოჰყვებოდა შედეგათ ასეთ ნაბიჯებს. საკმარისი იყო იაფ-ფასიანი ლოზუნგების გადასროლა, რომ ომისგან სულიერათ დაცემული და იმედგაცრუებული ლაშქარი ბალშევიკებს გაყოლოდათ. და ეს მომენტი, რუსეთის ეს საშინელი ტრაგედია მეტათ უტიფრათ გამოიყენეს ბალშევიკებმა. მათ მოღალატეებათ მონათლეს ყველა, ვინც მათ ბრძოლის ტაქტიკას არ იზიარებდა; წერეთელი, დანი, ჩხეიძე, სკობელევი და ავქსენტიევი კონტრ-რევოლიუციონერებათ და რევოლიუციის მოღალატეებათ გამოაცხადეს და მოუწოდებდენ ჯარს მოეწყოთ აჯანყება მართვა-გამგეობის მუშათა და სალდათთა საბჭოების ხელში გადასაცემათ, რომელიც მათის აზრით, ხელათ მოსპობდა საერთაშორისო სისხლის ღვრას და დასავლეთ ევროპაში რევოლიუციის ცეცხლს გააჩაღებდა; ისინი სრულებითაც არ უწევდენ ანგარიშს იმას, რომ მართვა-გამგეობის დემოკრატიის ერთი ნაწილის ხელში გადასვლა გამოიწვევდა დემოკრატიის მთლიანობის დარღვევას, რომელსაც შედეგათ მოჰყვებოდა გარეთ დარჩენილ ნაწილების ამხედრება და ამ რიგათ რევოლიუციის საფრთხეში ჩაგდება. უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ბალშევიკები სიტყვით მართვა-გამგეობის საბჭოების ხელში გადაცემას მოითხოვდენ, ხოლო იმ პირობით, რომ თუ საბჭოები ბალშევიკური იქნებოდა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ისინი მოითხოვდენ ბალშევიკურ მთავრობას, რომელიც ქვეყანათ სამოთხეს და ბედნიერებას დაამყარებდა. ლოღიკურათ ასეთ მთავრობის შედგენას სოციალისტური წესწყობილების დამყარება უნდა მოყოლოდა, ვინაიდან პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადება, როგორც ამას მარქსი გვასწავლიდა, უკანასკნელი საფეხურია სოციალიზმში გადასასვლელათ. ამას არცკი მალავდენ ბალშევიკების ლიდერები ლენინ-ტროცკები და მოუწოდებდენ პროლეტარიატს და ღარიბ გლეხობას სოციალისტურ რევოლიუციისკენ. რუსეთის კულტურულათ ჩამორჩენა, მისი ობიექტიური და სუბიექტიური პირობების მოუმწიფებლობა მათთვის არ არსებობდა და სწორეთ აქედან იწყება ის ხანა, როდესაც ბალშევიკები მარქსიზმს სავსებით დაშორდენ და ანარქიზმში ჩაიფლენ, ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ქვეყნის სოციალ-დემოკრატიას, რომელიც მსგავს შეხედულებას იზიარებდენ. და რამდენადაც ბალშევიკები მარქსიზმს დაშორდენ, იმდენათვე ისინი დაშორდენ მენშევიკებს, რომლებიც მარქსისტულ ნიადაგზე იდგენ და მისი მეცნიერული სოციალიზმის თვალთახედვის ისრით სჭვრეტდენ რუსეთის რთულ მოვლენას. ბალშევიკები არ კმაყოფილდებოდენ მარტო პრესის საშვალებით ბრძოლას მენშევიკებისა და ესერების წინაამდეგ და მოუწოდებდენ ჯარს იარაღით ხელში ჩაეგდოთ მართვა-გამგეობა, რომელიც სისრულეში მოიყვანეს კიდეც ოქტომბრის აჯანყებით.

ჩაიგდეს რა ხელში პეტროგრადი, სამხედრო დიქტატურა გამოაცხადეს, მინისტრი სოციალისტები შეიპყრეს, ზოგს მათგანს ბარბაროსულათ ექცეოდენ და ამ რიგათ დევნა და შევიწროვება დაუწყეს ყველას, ვინც მათ უტოპისტურ-ბლანკისტურ აზრებს არ იზიარებდა. ბალშევიკებმა ფეხქვეშ გასთელეს რევოლიუციის მიერ მოპოვებული თავისუფლება და მათი უკიდურესობა იქამდისაც კი მივიდა, რომ დახურეს პრესა და მათ შორის პროლეტარული მენშევიკური გაზეთი „რაბოჩაია გაზეტა“. ეს საშინელი ლახვარი იყო ჩაცემული რუსეთის რევოლიუციისათვის, რომელსაც დემოკრატიის მეორე ნაწილის ამხედრება უნდა გამოეწვია და ეს ასეც მოხდა. ბალშევიკებმა თავის აჯანყებით საფუძველი ჩაუყარეს ძმათა შორის სამოქალაქო ომს და ალიმართა მახვილი დემოკრატიის ერთი ნაწილის მეორის წინაამდეგ. ეს მახვილი ჯერაც არ ჩაგებულა ქარქაშში და ვინ იცის როგორი იქნება საბედისწერო შედეგი დიდი რუსეთის რევოლიუციისა. პეტროგრადი—ეს დედა ძარღვი მთელი რუსეთის ცხოვრებისა, მოსწყდა დანარჩენ რუსეთის ნაწილებს და აქედან იწყება რუსეთის დაქუცმაცება-დანაწილება და ამაში ბრალი ბალშევიკებს მიუძღვით. რუსეთის დემოკრატია არ სცნობს ლენინ-ტროცკის თვითმპყრობელობას, რომელიც ჯარის ერთი ნაწილის ხიშტებზეა დამყარებული. ბალშევიკებმა, რომელნიც კერენსკის მთავრობას უკიჟინებდენ დამფუძნებელ კრების მოწვევის გაჭიანურებას და გადადებას, მათ თავისი გამოსვლებით უფრო გააძნელეს მისი მოწვევა და ეს იმიტომ, რომ მათ არ სწამდათ დამფ. კრება, რომელიც მთელი რუსეთის დემოკრატიის მიერ იქნებოდა ამორჩეული. ისინი კარგათ გრძობდენ, რომ დამფუძნებელი კრება სასტიკ პასუხს მოსთხოვდა მათ მოქმედებისათვის. ერთად-ერთი თავის დასაცავი საშუალება-ღა დარჩენოდათ—დამფუძნებელი კრების გარეკა და ეს კიდეც მოიყვანეს სისრულეში. არ ახსოვს კაცობრიობას, რომ პარტიას, რომელიც თავის თავს სოციალისტურს უწოდებდეს—გაერეკათ ისეთი კრებული, სადაც თავს იყრიდეს ხალხის მიერ ოთხ ფორმულიან სისტემით ამორჩეული წარმომადგენლები: დამფუძნებელი კრების გარეკას მათ წინ წარუმძღვარეს პეტროგრადის და მოსკოვის ქალაქის თვითმართველობების გარეკა და ამით თავისი თავი გააკოტრეს და დაისამარეს.

ომისა და ზავის საკითხი, რომელსაც ისინი ჯარს პირდებოდენ, ისევ გადაუწყვეტელი რჩება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სეპარატიულ ზავზე მოლაპარაკებას, რომელსაც მართავს ბალშევიკების ჯარის მთავარ-სარდალი კრილენკო. ბალშევიკების ასეთი ნაბიჯების გადადგმამ არამც თუ დააჩქარა ზავის ჩამოგდება, პირიქით კიდევ უფრო გაართულა საერთაშორისო მდგომარეობა, კიდევ უფრო შეასუსტა ისედაც ინტერნაციონალური სუსტი კავშირი და მოკავშირე და მეომარ სახელმწიფოთა დემოკრატია დაახლოვების მაგივრათ კიდევ უფრო დააშორა, სტოკჰოლმის სოციალისტურ კონფერენციას ისინი სასტიკათ ებრძოდენ, რადგანაც იქ, მათის აზრით თავს მოიყრიდენ პროლეტარიატის გამყიდველები — შეიდემანები. დღეს კი ისინი მოლაპარაკებას მართავენ ვილჰელმის აგენტებთან და გინდენბურგებთან. უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს, ერთა თვითგამორკვევაზე დამყარებულს, რომელიც ინტერნაციონალურმა პროლეტარიატმა წამოაყენა, ბალშევიკებმა უღალატეს და ამ რიგათ წამოეგენ ვილჰელმის მიერ გადმოგდებულ იმპერიალისტურ ანკესზე. იმედგაცრუებული ჯარი ბრძოლის ველიდან გამორბის და ანადგურებს ყოველივეს, რაც კი გზაში ხვდება. შიგნით კი სამოქალაქო ომია ატეხილი, რომელიც რევოლიუციას ემუქრება. ერთა თვით-გამორკვევის პრინციპი, რევოლიუციის მიერ წამოყენებული, ფეხქვეშ ითელება, ბალშევიკებმა ომი გამოუცხადეს უკრაინას, კავკასიას და სხვას, როდესაც მათ თავ-თავიანთ საქმის მოწესრიგებას და მოგვარებას შეუდგენ. ისინი კერენსკის მთავრობას ებრძოდენ, რომ ერების თვითგამორკვევის უფლებას ზღუდავსო, თვითონ კი ეშელონებს გზავნიან უკრაინის რადის წინაამდეგ. მსხვერპლი აუარებელი იწირება და ვინ იცის, როგორ დაუჯდება რუსეთის დემოკრატიას ანარქიასთან ბრძოლა და თავისუფლების განმტკიცება.

რაც დრო გადის, ბალშევიზმი თანდათან კოტრდება. პეტროგრადსა და სხვა ქალაქებში, სადაც ამდენ ხანს ბალშევიკები ბატონობდენ, პროლეტარიატი თანდათან ირკვევა ბალშევიკურ ანარქისტულ ბურუსიდან და გადმოდის სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკების) პარტიაში, და ეს აუცილებლათ ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ბალშევიკებს არ შეეძლოთ იმ უდიდეს კითხვების გადაწყვეტა, რომელიც რევოლიუციამ წამოაყენა და რომლისთვისაც აუცილებელია დემოკრატიის მთლიანობა და ერთსულოვანი მოქმედება.

ქ. კილაძე.

# საზოგადო თუ კერძო გაფიცვა?

(ბეჭვდითი საქმის მუშათა მოსალოდნელ გაფიცვის გამო).

მუშათა თავგანწირულმა ბრძოლამ დასცა და დალეწა ძველი კერპი. საკაცობრიო იდეალებით გამსჭვალული მუშათა კლასი ვერ შეაკრთო ციხე-ციმბირ-ბორკილებმა და ხანგრძლივ ტანჯვა-ვაების შემდეგ დღეს თავისუფლებას დღესასწაულობს. ძველი, დახავსებული რეჟიმი ყველაზე ძალიან მუშათა კლასს სდევნიდა და ხელფეხ შეკრულს მაჯლაჯუნასავით დასწოლოდა ზედ. მუშათა კლასს არ შეეძლო მოეთხოვნა არა თუ პოლიტიკური უფლებები, ეკონომიურ, ყოველდღიურ საარსებო მოთხოვნილებაზედაც კრინტს ვერა სძრავდა და თუ ვინმე რამეს გაბედავდა, მას დახვრეტა და სახრჩობელა მოელოდა. ეკონომიურ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ მუშათა კლასს მხოლოდ ერთად ერთი იარაღი გააჩნდა „ხაზეინების“ წინააღმდეგ საბრძოლველათ ძველს დროში. და ეს ერთად-ერთი იარაღიც—გაფიცვა—მუშათა კლასისა მოწინააღმდეგეთა ხელში იყო და მას თავის სასარგებლოთ იყენებდნენ. სხვა გზა მუშათა კლასს არ გააჩნდა: არც მომრიგებელი კამერები, არც შრომის კომისარი, არც სხვა და სხვა კომისიები „ხაზეინების“ ბატონობის ჟამს არ არსებობდნენ და თუ ასეთი რამ მოიპოვებოდა, ისინიც „ხაზეინთა“ ჯიბეებს იცავდნენ. დღეს მუშათა კლასის ჟამია. მას ყოველმხრივ ხელ-ფეხი გაეხსნა და ათასი საშუალება მოეპოვება ბრძოლისა. მუშათა კლასმა თავის თავ-გამოდებულ ბრძოლით ეს უფლება მოიპოვა და დღეს რევოლიუციის დროსაც, როგორც კვლავ, მთელი მოძრაობის ავანგარდათ ითვლება. მუშათა კლასი, გათვითცნობიერებული დემოკრატია, ყოველთვის შორსმჭვრეტელურათ, წინდახედულათ მოქმედებდა და თავის მოქმედებას ყოველთვის არსებულ ობიექტიურ პირობებს უფარდებდა.

როგორ უნდა მოიქცეს? რა გზას უნდა დაადგეს ბეჭდვითი საქმის მუშები? როგორი გაფიცვა უნდა გამოაცხადონ,— თუ ეს აუცილებელი შეიქნა—კერძო, თუ საზოგადო?

ვინ არ იცის დღევანდელ მდგომარეობაში პრესის მნიშვნელობა. მაშინ, როდესაც ყოველი მხრიდან ათასი საფრთხე და აოხრებაა მოსალოდნელი; მაშინ, როდესაც ყველგან ცენტრში, ფრონტზე, თუ სხვადასხვა კუთხეებში გულის შემზარავი ამბები ხდება და შესაძლებელია იქით მოხეთქილი ძმათა შორის დაღვრილი სისხლი აქეთაც გადმოვარდეს, აი ამ დროს, გინდაც რამდენიმე დღითაც, გაზეთების შეჩერება—მთელ რევოლიუციონურ მოძრაობის მოწყვეტას უდრის. ამის გამოცდილება ჩვენ პირველ გაფიცვის დროს მივიღეთ. მაშინ, როდესაც თფილისში არც ერთი გაზეთი არ გამოდიოდა, ცენტრში დიდი საყურადღებო ამბები მოხდა და ჩვენ კი უგაზეთობით არ შეგვეძლო დროზე გაგვეგო ყველა ეს და, მხოლოდ აქა-იქ რედაქციის წინ გაკრულ განცხადებებს ხალხი ასობით ეხვევოდა. ვალდებულნი ვართ გავუწიოთ ანგარიში ობიექტიურ პირობებს და იმისდა მიხედვით გადავდგათ ესა თუ ის ნაბიჯი. ასე და ამგვარათ, საჭიროა ეს ნათლად გავითვალისწინოთ და ჩვენი მოქმედებაც მას შევუფარდოთ.

ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა.

შეიძლება ზოგიერთმა ამხანაგმა ზემო ნათქვამიდან ისეთი დასკვნა გამოიტანოს, თითქოს ჩვენ კერძო გაფიცვის მომხრე ვიყოთ. ეს შემცდარი აზრი იქნება და ამას მხოლოდ საქმის მეორე მხარის გაცნობის შემდეგ მიხვდება.

თფილისში თხუთმეტამდე გაზეთი გამოდის და თითქმის არც ერთ რედაქციას საკუთარი სტამბა არა აქვს. არის ასეთი შემთხვევები: გაზეთის ასო რედაქციას ეკუთვნის და ასოთ-ამწყობებიც მას ჰყავს დაქირავებული, მაგრამ დაბეჭვდა ხაზეინისა. ე. ი. სტამბის პატრონი რედაქციას გაზეთის დასაბეჭდავ გადასახადს ახდევინებს. აქედან აშკარაა, რომ თუ, ვსთქვათ, კერძო გაფიცვა გადაწყდება, ე. ი. თუ აქციდენცია გაიფიცება და გაზეთი კი მაინც გამოვა, სტამბის პატრონებს შემოსავლის ერთი წყარო კიდევ დარჩებათ: გაზეთის დასაბეჭდავ ფულს აიღებენ და, თუ მოგება არ დარჩებათ, ხარჯს მაინც გაისტუმრებენ. ასე და ამ გვარათ, თხუთმეტამდე სტამბის პატრონი ამით წავა იოლათ.

საჭიროა, ამასაც ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და ამ ორ მდგომარეობიდან ერთი სწორი და მიზან-შეწონილი დასკვნა გამოვიტანოთ; და ჩვენ ვფიქრობთ სწორეთ ეს დასკვნა იქნება მესამე გზა: არც კერძო და არც საზოგადო გაფიცვა, როგორც ზემოთ დავინახეთ, არ იქნება ჩვენთვის მისაღები. დღეს ჩვენ რევოლიუციონურ ხანაში ვცხოვრობთ. ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს გათვითცნობიერებულ დემოკრატიის სული უდგას: ამიერ-კავკასიის კომისარიატი, შრომის კომისარი, მუშათა საბჭო, სხვადასხვა რევოლიუციონური ორგანიზაციების სულის ჩამდგმელნი განა მუშათა ასეთ სამართლიან მოთხოვნილებას დაბლა დაუშვებენ! არა და არა. ჩვენ უნდა მივმართოთ ბრძოლაში გამოწრთობილ ამხანაგებს და საზოგადოებრივ მაჯის შეუწყვეტლივ და წარმოების შეუფერხებლივ განხორციელებულ იქნება ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილება.

აი მესამე გზა.

მიხ. თამაზაშვილი.

# კაპიტალიზმის აღორძინება და იმპერიალისტური ლტოლვილებანი გერმანიაში

(გაგრძელება).

სავაჭრო და სამრეწველო ინტერესების დასაცავათ გერმანიის მრეწველები იმხრობენ ხოლმე საზღვარ-გარეთელ კაპიტალსაც, განსაკუთრებით კი საფრანგეთისას. გერმანიის მრეწველობა, რომელიც, როგორც ვნახეთ, ვითარდებოდა დიდის სისწრაფით, თხოულობდა დიდძალ კაპიტალს. და აი საფრანგეთის ბანკების კარები მისთვის ღია შეიქნა.

„როცა გერმანიის ბანკებს არ აქვს საკმაო ფული ვაჭრობა-მრეწველობის განსავითარებლათ ერთის მხრივ და მთავრობისთვის შეიარაღების პოლიტიკაში დახმარების აღმოსაჩენათ მეორეს მხრივ, მაშინ საფრანგეთის ბანკები მას დახმარებას აძლევენ. და ის დახმარება, რომელსაც უწევს საფრანგეთის ბანკები გერმანიას, არის არა შემთხვევითი, არამედ მუდმივი და გამომდინარეობს ხელშეკრულობიდან ან უკეთ რომ ვსთქვათ, **კავშირიდან, რომელიც შეკრულია ამ ორ სახელმწიფოს უმდიდრეს ფინანსისტების წარმომადგენელთა მიერ** (ხაზგასმულია ავტორის მიერ).

კიდევ 1905 წ. საფრანგეთის ერთი ორგანო სწერდა: „ნდობა, რომელიც ჰქონდა გერმანიის ბანკებს, მათ საშუალებას აძლევდა საჭირო კაპიტალი გამოენახათ ჩვენს საკრედიტო დაწესებულებებში. საკმაოა გავიხსენოთ, რომ საფრანგეთის დიდ ბანკებმა 1898, 1899, 1900 წ.წ. მისცა გერმანიის ბანკების განკარგულებაში დიდძალი წყაროები, და ამავე დროს ჩვენი ინდუსტრია და ჩვენი ვაჭრობა (ე. ი. საფრანგეთის ი. ს.) რომელთა საჭიროება იყო არა ნაკლები გერმანიისაზე, ვერ პოულობდა საკმაო ფულს“. როგორც ფინანსიური საკითხის კარგი მცოდნენი მოწმობენ, გერმანიაში ყოველ წლივ მრეწველობის განსავითარებლათ, საფრანგეთის საკრედიტო დაწესებულებებიდან მიდის არა ნაკლებ 400—500 მილიონი მარკისა. ლიზისის სიტყვით მარტო 1900 წელს გერმანიის ბანკების განკარგულებაში იყო მილიარდ ნახევარი საფრანგეთის კაპიტალისა.

1901 წ. როცა გერმანიის მრეწველობა განიცდიდა ძლიერ კრიზისს, საფრანგეთის ფინანსისტებმა გერმანიის მრეწველთა განკარგულებაში მისცეს 1.200 მ. ფრ. და ამით გერმანიის მრეწველობას საშუალება მისცეს კრახი აეცილებინა.

ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ ბანკის წარმომადგენლები, მრეწველებს დახმარებას უწევენ მოაგვარონ სამრეწველო წარმოება და მასთანვე შედიან წარმოებაში როგორც ადმინისტრატორები. როგორც ადმინისტრატორები, ისინი სცდილობენ მჭიდრო კავშირის შექმნას მრეწველობის სხვადასხვა დარგთა შორის. აქედან წარმოსდგენ: კარტელი, ტრესტი, სინდიკატები. აი რას სწერს უმთავრესი ხელმძღვანელი გერმანიის უდიდესი საკრედიტო დაწესებულებისა ბანკების როლზე კარტელების შექმნის საქმეში. „ისინი (ე. ი. ბანკები ი. ს.) ხელს უწყობდენ კარტელის შექმნაში, ამ კარტელებმა საშუალება მისცეს თავის მოვალეებისთვის აეცილებინა კონკურენცია, რომელიც მათ დღეუპვის კარამდე მიიყვანდა და ამავე ბანკების საშუალებით გერმანიამ მთელი გერმანიის კაპიტალი სამრეწველო საქმეს მოახმარა“. 1914 წ. გერმანიაში ითვლებოდა დაახლოვებით ექვსასი კარტელი. თუ როგორი ჩქარი ნაბიჯით იზრდება საკარტელო მოძრაობა გერმანიაში, ამას გვიჩვენებს შემდეგი ციფრები:

1865 წ. გერმანიაში არსებობდა ოთხი კარტელი, 1870—6, 1875—8, 1879—14, 1885—90, 1890—210, 1896—260, 1901—300. 1905—285, 1910—550—600.

უდიდეს სინდიკატებათ ითვლებიან: რეინ-ვესტფალიის საქვანახშირო სინდიკატი, რომელმაც, რაფალოვიჩის გამოანგარიშებით აწარმოვა 1909 წ. დარტმუნდის რაიონში 85 მილიონი ტონა ქვანახშირი, იმ დროს როცა სინდიკატის გარეშე მდგომ მრეწველებმა მხოლოდ 4.200.000 (½ %) 1913 წ. იანვრისთვის ქვანახშირის წარმოება სინდიკატის მიერ უდრიდა 92,6 % რურის ოლქის მთელს წარმოებისას და 54 პროც. მთელი საიმპერიო წარმოებისას.

ი. სალაყაია.

(შემდეგი იქნება).

# რევოლიუციონური ტრიბუნალი თფილისში

კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის დადგენილებით თფილისში არსდება რევოლიუციონური ტრიბუნალი. თფ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა გამოიმუშავა ამ ტრიბუნალის შემდეგი დებულებანი:

1. თფილისში არსდება რევოლიუციონური ტრიბუნალი ქალაქში და მის განაპირა უბნებში მომხდარ დანაშაულობათა შესახებ საქმის გასარჩევათ.

2. რევოლიუციონური ტრიბუნალი არჩევს საქმეებს: ა) მილიციონერებზე და დარაჯებზე თავდასხმის, მკვლელობის, დაჭრის, ძარცვა-გლეჯის და საკუთრების ძალით წართმევის შესახებ; ბ) აღმასრულებელ კომიტეტისა და ქალაქის თვითმართველობის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის და აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებათა აუსრულებლობის შესახებ; გ) ვაჭართა გაფიცვის და სპეკულიაციის შესახებ.

3. რევოლიუციონური ტრიბუნალი შესდგება 8 კაცისაგან, რომლებსაც ირჩევს თფილისის აღმასრულებელი კომიტეტი. რევოლიუციონური ტრიბუნალი ირჩევს თავის შემადგენლობიდან თავმჯდომარეს და მის ამხანაგებს.

4. დანაშაულობათა შესახებ საქმის გარჩევის დროს ტრიბუნალი შესდგება 3 კაცისაგან. თავმჯდომარეობს თავმჯდომარე ან მისი ამხანაგი.

5. რევოლიუციონურ ტრიბუნალთან არსებობს საგამომძიებლო კომისია 3—5 კაცისაგან შემდგარი, რომლებსაც ირჩევს აღმასრულებელი კომიტეტი; საზოგადოებრივი ბრალმდებელი და მისი ამხანაგი, არჩეული აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტის მიერ.

6. ისეთ საქმეების შესახებ, რომლებსაც მოყვება ღირსების აყრა, ხდება წინასწარი გამოძიება ტრიბუნალთან არსებულ საგამომძიებლო კომისიის მიერ. სხვა საქმეების გარჩევის დროს, აგრეთვე ყველა იმ შემთხვევებში, როცა ბოროტ-მოქმედს დააკავებენ ნაძარცვი საქონლით ხელში ან დანაშაულობის ჩადენის ადგილზე, ან როცა ის გამოტყდება თავის დანაშაულობაში სასამართლო არჩევს საქმეს ისე, რომ არ ახდენს წინასწარ გამოძიებას. ასეთ შემთხვევაში მილიციას მიჰყავს დაკავებული პირი პირდაპირ სასამართლოში და ამასთანავე ადგენს მოწმეთა სიას მათი მისამართის აღნიშვნით. დაკავებულ პირს დაუყონებლივ დაჰკითხავს ტრიბუნალის მორიგე წევრი, ამასთანავე დაკავებულ პირს ეძლევა უფლება გამოიწვიოს მოწმეები, თუ ისინი ცხოვრობენ თფილისში და მათ ჩვენებას სასამართლო იცნობს საქმისათვის საჭიროთ. საქმის გარჩევა ინიშნება არა უგვიანეს 3 დღისა. თუ დანაშაული ჩადენილია ისეთ დროს, როცა ტრიბუნალს სხდომა არა აქვს, მაშინ დაკავებული პირი უნდა წარუდგინონ ტრიბუნალს მეორე დღეს 10 საათზე.

7. როცა საქმის გარჩევას შაუდგებიან ამ დებულებათა მე-5 მუხლის ძალით და ტრიბუნალმა დაინახა, რომ საქმე საჭიროებს დამატებით გამოძიებას, ის ან ა) გადადებს საქმეს 3 დღის ვადით დამატებითი მოწმეების გამოსაწვევათ, ბ. ან გზავნის საქმეს წინასწარ გამოსაძიებლათ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტრიბუნალი უგზავნის საქმეს უბნის გამომძიებელს, სამხედრო ან სამოქალაქოს, რომელიც გამოძიების შემდეგ გზავნის საქმეს საერთო წესით, ან გადასცემს საქმეს ტრიბუნალთან არსებულ საგამომძიებლო კომისიას.

8. ტრიბუნალთან არსებული საგამომძიებლო კომისია ახდენს გამოძიებას: საბოლოო დადგენილებას ადგენს საბრალმდებლო აქტის ფორმით გამოსაწვევ მოწმეების აღნიშვნით და საქმე ამ სახით გადადის ტრიბუნალის ხელში. საგამომძიებლო კომისიის დადგენილებას საქმის შეწყვეტის შესახებ ამტკიცებს რევოლიუციონური ტრიბუნალი.

9. საქმის ტრიბუნალში გადასვლის შემდეგ, მისი შემდეგი მსვლელობამ, დაწყებული საბრალმდებლო აქტის ბრალდებულისათვის ჩაბარებიდან, ხდება იმ წესების თანახმათ, რომლებიც ჩათვლილია მე-IV განყ. სამხ. სასამართლოს წესდებისა ომიანობის დროის სასამართლოს შესახებ.

10. ბრალდებულს აქვს უფლება ყავდეს დამცველი თავის არჩევით; თუ ბრალდებული მოისურვებს, ტრიბუნალი ნიშნავს დამცველს.

11. განაჩენს არ ასაბუთებენ.

12. დანაშაულობათა იმ საქმეების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია დასჯის შესახებ დებულებებში, ტრიბუნალს აქვს უფლება გააძლიეროს კანონში აღნიშნული სასჯელი 1—2 ხარისხით, მაგრამ არა უმეტეს კატორღისა. სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის გამო ტრიბუნალს აქვს უფლება გააძლიეროს სასჯელი 3 წლით ციხეში დატუსაღებამდე ან 100 ათას მან. ჯარიმამდე. სპეკულიაციის შესახებ ტრიბუნალს ეძლევა უფლება ამის გარდა დაადგინოს საქონლის კონფისკაცია ხაზინის სასარგებლოთ.

13. ტრიბუნალის გადაწყვეტილება საბოლოვოა და არ გასაჩივრდება.

# აქსტაფიდან განჯამდე

ცხრა იანვარს დილით, აქსტაფის სადგურის მახლობლათ, ბაზარში გავედი. იქ შეგროვილიყვენ ადგილობრივ მუსულმანთა მილიციონერები და რაღაც ხმა-მაღლა აღელვებული ლაპარაკობდენ. მათში შევამჩნიე რამდენიმე შეიარაღებული უცნობები. ცნობის მოყვარეობით მივედი, მინდოდა გამეგო, თუ რაში იყო საქმე. ერთ ნაცნობ მუსულმანს ვკითხე: ვინ არიან ეს შეიარაღებულები, ან რა უნდათ მეთქი. მან მიპასუხა: ესენი დელეგატები არიან იმ „შაიკის“, რომელიც ცდილობს აქსტაფის გაძარცვასო. შემდეგ ვაჭარ მუსულმანს შევეკითხე, როდესაც დავინახე ასამდე შეიარაღებული სოფლელები, ამათ რა უნდათ მეთქი. ვაჭარმა მიპასუხა თავის ენაზე: ჩვენებურ თარაქამის თათარზე უვიცი ქვეყანაზე არავინ არისო; ესენი არიან, რომლებიც თავისუფლებას ძირს უთხრიან, ძარცვა-გლეჯის მეტი არაფერი გაეგებათო.

ეს შეიარაღებული მუსულმანები ყველანი თავს იყრიდენ ფოსტის სადგურის წინ, სადაც სამხედრო სასურსათო საწყობი იყო. მე სადგურში დავბრუნდი.

იმ დროს სადგურში შემოვიდა თფილისიდან დელეგატების მატარებელი; დელეგატები ჩრდილოეთ კავკასიაში მიდიოდენ სასურსათო ყრილობაზე დასასწრებლათ. მათ ახლდა სამოცამდე ქართველი და ასამდე რუსი ჯარისკაცები. ჯარისკაცები ბაზარში გავიდენ და როცა დაინახეს თათრების შეიარაღებული ბრბო, მივიდენ და დაუწყეს გამოკითხვა, თუ რათ არიან შეგროვილი, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს. როდესაც ჯარისკაცები უკან გამობრუნდენ, ვიღამაც უთხრა მათ, რომ ამათ უნდათ აქაური სამხედრო სასურსათო საწყობი გასტეხონ და გაძარცვონო. ჯარისკაცებს მღელვარება დაეტყო და თავის უფროსს გააგებიეს საქმის ვითარება. მათი უფროსი ქართველი აფიცერი იყო, გვარათ უსტაშვილი. აფიცერი ჯარისკაცების თანხლებით ბაზრისაკენ გაემართა. როდესაც ბაზარში გავიდენ, ნახეს, რომ ადგილობრივი მუსულმანების მილიციონერები რაღაც გაურკვეველ მდგომარეობაში იყვენ. მძარცველებს დაეწყოთ მოქმედება. იქაური ვაჭარ ნემეცის სახლიდან ნივთებს ურმებზე ალაგებდენ, მეორე ნაწილი სასურსათო საწყობისკენ მოიწევდა. როდესაც ჯარისკაცები დაინახეს, ვიღაცამ თოფი გაისროლა. ჯარისკაცებმაც ჰაერში გაისროლეს და ცოტა სადგურისაკენ დაიხიეს. იქნებოდა დღის თორმეტი საათი. მუსულმანების მხრით ძლიერი სროლის ხმა მოისმა. ყველანი თოფებს ეცენ: მილიციონერებიც და ადგილობრივი რკინის გზის წითელი გვარდიაც. დადგა სწორეთ ჯოჯოხეთი. ერთი საათის სროლის შემდეგ შევამჩნიეთ, რომ ირგვლივ შეიარაღებული მუსულმანები იყვენ შემოხვეული სადგურზე. მძარცველები თანდათან ემატებოდათ ახლო-მახლო სოფლებიდან, როგორც ქვეითი, ისე ცხენოსნებიც. სადგურთან ბრძოლა უხერხული იყო. ჯარისკაცები ავიდენ წყლის ქაბების თავზე და იქიდან ყოველი მხრით ისროდენ. ზოგიერთი ჯარისკაცები სახლების მეორე სართულის ფანჯრიდან ესროდენ და ჰკლავდენ თათრებს, მაგრამ თანდათან თათრებს ემატებოდენ შეიარაღებული პირნი. ისროდენ ჩრდილოეთის მხრიდან და ბაქანზე. რამდენიმე ჯარისკაცი მოჰკლეს. ამ დროს ჯარისკაცებმა გახსნეს „ცეპი“ და ორი მხრიდან შემოუარეს. ბევრი დახოცეს, მაგრამ დამორჩილება ძნელი იყო.

საღამოს ხუთ საათზე კიდევ შემოვიდა

[illegible] ...ტეს. იმ საღამოს დაეცენ იქვე სადგურის მახლობლათ სვანიძის სახლებს და გაძარცვეს.

10 იანვარს დილით, ჯერ სინათლე არ იყო, რომ სროლა დაიწყეს. ჯარისკაცები დასაზვერავათ ბაზარში გავიდენ, სარდაფებში შეამჩნიეს თათრები ჩამალული. სარდაფებში ჩაყარეს ხელით სასროლი ყუმბარები და ყველანი ამოჟლიტეს. სროლის დროს ჯარისკაცებმა მილიციონერიც მოჰკლეს, ვინაიდან ვერ გაარჩიეს მძარცველებისაგან, რადგანაც იმათაც მილიციონერის ფორმა დაეკერებიათ.

დილით ზოგიერთმა ჯარისკაცებმა დუქნების მტვრევას მიჰყვეს ხელი და აგრეთვე გასტეხეს სასურსათო საწყობი და იქიდან ბლომათ ვაგონებში ჩაალაგეს. ორ ალაგას ბაზარს ცეცხლი გაუჩინეს. ნაწილმა ჯარისკაცებისამ, რა შეამჩნიეს გაძლიერებული რაზმი ცხენოსნებისა, გადმოიღეს ზარბაზანი და ხუთი ყუმბარა სოფლისაკენ გაისროლეს. სოფელში ცეცხლი გაჩნდა. მიუხედავათ ყოველი ღონისძიებისა, თათრები ძლიერი რაზმით მოდიოდენ. როდესაც ნადავლი ჩაალაგეს, ჯარისკაცებმა ორთქლ-მავლები მოითხოვეს საჩქაროთ. სადგურის წინ ბაქანზე ოთხი მუსულმანი იყო მოკლული და დასახიჩრებული, აგრეთვე ლიანდაგზე და სადგურზე ყოველ მხრივ ბევრი იყვენ დახოცილები. ათამდე ჯარისკაცებიც იყვენ დახოცილები, მათ შორის ქართველებიც. მოსამსახურეები ყველანი ვაგონებში იტვირთებოდენ და წყევაკრულვით და ტირილით იხსენიებდენ აქსტაფას. მოცდა შეუძლებელი იყო: ვთხოვეთ ეშელონების უფროსებს ერთი სამხედრო მატარებელი დაბრუნებულიყო სადგურ ყარაიაზამდე. არც ერთმა ჯარისკაცმა არ განაცხადა თანხმობა. მეტი ჯანი აღარ იყო, გადავსწყვიტეთ გავყოლოდით სამხედრო მატარებლებს განჯამდე, ვინაიდან დასავლეთით მუსულმანების დიდი რაზმი მოსჩანდა ცხენოსნებისა შეიარაღებული და არ გამოგვიშვებდენ. იმათაც ნება დაგვრთეს. მივუბით ჩვენი ვაგონები მათ მატარებლებს. არც ერთი მოსამსახურე არ დარჩენილა აქსტაფაში, აპარატებიც მოვხსენით, წავიღეთ დ წავედით განჯისკენ. მავთულები დაწყვეტილი იყო და არავინ იცოდა, თუ რა ხდებოდა. დილის ათ საათზე გავედით აღსტაფიდან. ხუთი სამხედრო მატარებლები ერთი მეორეს მიყვებოდა. როდესაც გავსცილდით სადგურ კოკლიარს, მარჯვენა მხარიდან ორმა თათარმა თოფები გამოისროლეს და ერთი ჯარისკაცი მოჰკლეს. ჯარისკაცებმაც ესროლეს. ისინი თხრილებში იყვენ ჩამჯდარი. ძევამშიც რვა კაცმა ისე ჩამჯდარი გვესროლა, მაგრამ არავინ მოუკლავთ. იმ ღამეს ავედით სადგურ შამხორას, სადაც ოთხი მატარებლის შემადგენლობა არის დამტვრეული. იქ გზაც გაფუჭებულია. უნდა გავჩერებულიყავით, მეტი გზა აღარ იყო. ღამის შვიდი საათი იქნებოდა მატარებლის ბოლოზე ვიღაცამ დაიძახა,—ერთი ჯარისკაცი გამოგზავნეთო. ბნელში ეტყობოდა თათარი უნდა ყოფილიყო ხმაზე. გავგზავნეთ ორი ჯარისკაცი, რომლებმაც თათრულიც კარგათ იცოდნენ და რუსულიც.

იმათ გადმოგვცეს, რომ ჯარისკაცებს უთხარით, თოფები გადმოგვცენ, თორემ ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთო. ეს ყველა მატარებლების ჯარისკაცებს ვაცნობეთ. წინა ჯარისკაცებმა სროლა დაიწყეს. როგორც გავარდა პირველი თოფი, რამდენიმე ასი ტყვია ერთბაშათ მოხვდა ვაგონებს. როგორც ეტყობოდა ისინი მზათ იყვენ ახლო-მახლო თხრილებში ჩამჯდარნი. სწორეთ მაშინ დადგა ჯოჯოხეთი. მოგეხსენებათ, ვაგონი ტყვიას ვერ იკავებს. ბნელაში ვერაფერს არჩევ და მტერი კი ყოველი მხრიდან გესვრის. ვაგონებში იხსდენ სამას სულამდე მოსამსახურეთა ცოლ-შვილი. ჯარისკაცები ჩამოვიდენ ძირს და შეიქნა საშინელი სროლა. როდესაც მტერი აღარ ხუმრობდა, ოფიცრებმა ზარბაზნების გასროლაც უბრძანეს. ოცამდე ყუმბარა გაისროლეს. ზარბაზნების გასროლის შემდეგ, ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, სროლა შეწყდა და შემდეგ შევუდექით გზის შეკეთებას. რადგანაც ყოველ დარგის მოხელენი იქ გვახლდა, გათენებამდე გზა გავასწორეთ და ხიდიც ძველი „შპალებით" გავამაგრეთ. გათენდა. დავათვალიერეთ ის საშინელი სანახავი, სადაც ორასამდე ვაგონები არის დამწვარი და იქვე ადამიანის რამდენიმე გვამი გდია, ზოგი დამწვარი, ზოგიც გაშიშვლებულები და არავინ პატრონი მათ არ უჩანს. შემდეგ მატარებლები ნელ-ნელა დაიძრენ. ატყდა საშინელი სროლა ორივე მხრით ლიანდაგზე დაშორებით ერთი ვერსით. გამოჩნდენ რაზმები ქვეითი და ცხენოსანი. შეიქნა ზარბაზნების გრიალი და ტყვიისმფრქვეველის ტრახ-ტრახი. თერთმეტს იანვარს დილიდან დაწყებული დიდი ვაი-ვაგლახით გავიარეთ საღამომდე სულ რვა ვერსი. რამდენჯერმე იერიშებით მოვიდენ, მაგრამ მოვიგერიეთ. ერთ მატარებლიდან მაინც წაიღეს ორასამდე თოფი, მიუხედავათ იმისა, რომ ორი დღის განმავლობაში თერთმეტმა სამხედრო მატარებელმა მოიყარა თავი ერთათ და ზარბაზნებიც ბევრი იყო და ხიშტიც. სადგურ შამხორთან ერთ მატარებელზე მიიტანეს იერიში, შეამჩნიეს რა რომ იქ ცოტა იყვენ ჯარისკაცები. დიდი ხე—ჩართული ბრძოლის შემდეგ მოახერხეს რამდენიმე ასი თოფის ხელში ჩაგდება. თუმცა ორივე მხრით დიდი ზარალი მოუვიდათ. კიდევაც დაღამდა. გადავწყვიტეთ იქ დარჩენა. იმ ღამეს გამოგზავნეს განჯიდან თეთრი დროშით დელეგატები და გვაცნობეს, რომ მოლაპარაკება გაგვემართა, თორემ სროლას ისე არ შევწყვეტთო. ამ დროს მოვიდა ორმოცი შეიარაღებული მუსულმანი. ყოველ მხრით ნახევარ საათში სროლა შესწყდა. მოლაპარაკებამ გათენებამდე გასტანა. იმ ღამეს დავაგროვეთ დახოცილები და დაჭრილები. რკინის გზის მოსამსახურე აღმოჩნდა რვა კაცი: გაქცეული მალაკნებიდან, რომლებიც სოფელ ელისავეტინსკიდან გარბოდენ, სამი და დანარჩენი ჯარისკაცები. ცხრა იანვრიდან თორმეტ იანვრამდე საღამომდე აქსტაფიდან ალაბაშლამდე დაჭრილ-დახოცილი აღმოჩნდა ორას ოცდა ხუთი კაცი. არ არის გამორკვეული მუსულმანების მხრით რამდენი კაცი დაიხოცა. მოლაპარაკება მშვიდობიანათ გათავდა. ჯარისკაცებმა დაუთმეს ექვსი ზარბაზანი იმ პირობით, რომ მათი დელეგატი გაყოლოდა სადგურ ბალაჯარამდე, რომ კიდევ სადმე სროლა არ აეტეხათ და ზარბაზნის გასალებს იქ ჩაგაბარებთო. სიწყნარე იყო. ჩვენ რამდენიმე დახოცილები იქვე ალაბაშლის სადგურთან დავასაფლავეთ.

გათენდა ცამეტი იანვარი. დავინახეთ, რომ ურიცხვი ჯარი თათრებისა ორივე მხრიდან ლიანდაგისკენ დაიძრენ განჯისკენ და ჩვენც ნელ-ნელა წავედით. ჯარისკაცები გააფრთხილეს, რომ სადგურში არც ერთი ძირს არ ჩამოსულიყვენ მატარებლიდან. შევედით განჯაში და დაპირებისამებრ იარაღები დელეგატებს გადასცეს. მატარებლებიც გავიდენ განჯიდან.

სადგურ განჯას მოსამსახურეები სტოვებდენ. რამდენიმე ოცი ვაგონი მოსამსახურეებს ჩაყენებული ქონდათ და თავის ხაბაკს უდებდენ. იმ დროს შეიარაღებული მუსულმანები ნავთსაყვანს დაეცენ, „გარეული დივიზიის" ჯარისკაცებმა გარეკეს. ჩვენს აქეთ დაბრუნებამდე სადგურს ისინი იცავდენ. შეიარაღებული სოფლელები რამდენიმე ათასი იქნებოდა, რომლებიც უთავბოლოთ ეხეტებიან და არავის არ უჯერებენ. ძარცვა-გლეჯას ყოველ წუთში ალაგი აქვს. იქ დაგვიხვდა რამდენიმე ქართველი ჯარისკაცები. თფილისში მიმავალმა მოსამსახურეებმა ვაგონები მათ მატარებელს მივუბით და ქალაქისაკენ წამოვედით.

13 იანვარს განჯაში კრება ჰქონდა რკინის გზის მოსამსახურეებს რკინის გზის თეატრში და გადასწყვიტეს ყველანი გავიდენ განჯიდან. როდესაც დავბრუნდით გზაში ვნახეთ, რომ ჩვენი დამარხული ჯარისკაცები გზა და გზა ყველანი ამოეღოთ და გაშიშვლებულნი საშინელი სანახავებ ზეზეურათ ეყარნენ. და ეხლაც ისე გდიან უპატრონოთ. როდესაც ჩამოველით სადგურ აქსტაფაში ვნახეთ, რომ სადგური თითქმის სრულიად გაუნადგურებიათ და დამწვარ-დახოცილთა გვამები ყოველ ფეხის გადადგმაზე გდია როგორც სადგურის ბაქანზე, აგრეთვე ლიანდაგზედაც.

იქ აღარ შევჩერებულვართ ისე ჩამოვედით თფილისში.

მუშა სიმონა.

## გორის სამაზრო ინტერპარტიული ყრილობა

28 დეკემბერს დროებითი ინტერპარტიული ბიუროს მიერ ქ. გორში მოწვეულ იქნა მთელი მაზრის რევოლიუციონურ და საზოგადო დაწესებულებათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობას დაესწრენ გორის მაზრაში—ხუთი მომქმედ პარტიის წარმომადგენელნი: სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების), სოც.-რევოლიუციონერების, ფედერალისტების, ნაც.-დემოკრატების, დაშნაკელების; გარდა პარტიებისა თითო დელეგატი იყო წარმოდგენილი 4 ქალაქის თვითმართველობიდან; გორის, ხაშურის, ბორჯომის და სურამის; წარმომადგენლები მუშების, ჯარის-კაცების და გლეხთა საბჭოებისა, აღმასრულებელ—სამაზრო, სარაიონო და სასოფლო კომიტეტებისა. დელეგატთა რიცხვი დაახლოვებით 100 კაცს აღემატებოდა.

ყრილობის დღიურ წესრიგს მხოლოდ ერთი საკითხი შეადგენდა: „სამაზრო ინტერპარტიული თავდაცვის კომიტეტის დაარსება ქ. გორში". სახელმძღვანელო წესები მომავალი კომიტეტისათვის წინასწარ იყო შემუშავებული ბიუროს მიერ.

ბიუროს დავალებით ყრილობას ხსნის გორის ქალაქის თავი ამხ. სერგო რობაქიძე, რომელიც უხსნის ყრილობას მოწვევის მიზანს, უხატავს სურათს საერთოთ რუსეთის თანამედროვე მდგომარეობისას და კერძოთ ამიერ-კავკასიისას, აღნიშნავს ფრონტის საშიშ მდგომარეობას და იმ დიდ საფრთხეს, რომელიც ფრონტის მიტოვებით მოელის ამიერ-კავკასიას. რომ გორის მაზრა გადარჩეს უბედურებას და ავაშოროთ ანარქიულ მდგომარეობასო, ამბობს ორატორი, ინტერპარტიულმა ბიურომ გადასწყვიტა გორის მაზრის თავდაცვის კომიტეტის დაარსება, რომლისთვისაც ბიურომ შეიმუშავა ერთგვარი სახელმძღვანელო წესები და რომელსაც განსახილველათ აქ წარმოგიდგენთო. ამხ. რობაქიძე მიესალმა ყრილობას, მოუწოდა დამსწრეთ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სამშობლოს დაცვის საქმეში და მისცა წინადადება აირჩიონ ყრილობის პრეზიდიუმი.

პარტიათა მიერ შემუშავებულ შემათანხმებელ სიის თანახმათ, ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს: თავმჯდომარეთ ამხ. სერგო რობაქიძეს, მის ამხანაგებათ ქიტიაშვილს (ნაც. დემოკ.), და ქურდიანს (ფედერ.); მდივნებათ: ამხ. ს. გაბუნიას და გურგენოვს (დაშნაკცუტ.).

მომხსენებლებათ გამოდიან ამხ. ნიკ. იმნაიშვილი და ალ. ლომთათიძე (ეს უკანასკნელი თფილისიდან ჩამოვიდა იმ საღამოს). მომხსენებელმა იმნაიშვილმა აღნიშნა თანამედროვე მდგომარეობა საერთოთ რუსეთში და კერძოთ კი ჩვენში, რომელიც შექმნა ბალშევიკურმა ავანტიურამ, კერძოთ მდგომარეობა გორის მაზრაში და ის რეალური საშუალებები მიუთითა, რაც აუცილებლათ საჭიროა რევოლიუციისა და ქვეყნის ხსნისთვის და მოუწოდა ყრილობას მხარი დაუჭირონ ბიუროს მიერ შემუშავებულ აზრს გორის სამაზრო თავდაცვის კომიტეტის დაარსების საქმეში.

ილაპარაკა ბალშევიკმა შიტუნოვმა, მხოლოდ ბალშევიზმის წყალობით შეიძლება რევოლიუციის—კონტრ-რევოლიუციისაგან ხსნა და ვინც ამ მცნებას უხვევს გვერდს, ის მტერია რევოლიუციისო—სთქვა მან. ორატორი აკრიტიკებს მომხსენებლებს, უარყოფს თავდაცვის კომიტეტს, ყრილობას შოვინიზმს სწამებს და მენშევიკებს კიდევ მოღალატეებათ სთვლის. ბალშევიკ შატუნოვს ხშირათ სიტყვას აწყვეტინებენ.

შატუნოვს უპასუხებენ ამხ. ალ. ლომთათიძე, ნ. იმნაიშვილი, გ. მაჩაბელი და სხვანი.

არსებითად ყველა მომხრეა ნაციონალური ჯარის შექმნისა და თავდაცვის კომიტეტის დაარსებისა ქ. გორში. ცოტა გაუგებრობას იწვევს ყრილობაში ფედერალისტ ლეო მეტრეველის სიტყვა, რომელიც მიმართულია უმთავრესად სოც. დემოკრატებისადმი საყვედურებით, მაგრამ ყრილობის უმრავლესობა სიტყვას აღარ ათავებინებს და ძალზე აღელვებული ორატორი ტრიბუნას სტოვებს.

ბოლო სიტყვა ეძლევა გორის ქართულ პოლკის ჯარის წარმომადგენელს ვანო დეკანოზიშვილს. დეკანოზიშვილი მწუხარებით აღნიშნავს გორში მყოფ ქართულ პოლკის დეზორგანიზატორულ და ანარქიულ მიდრეკილებას, ჯარისკაცების მავნე და სამარცხვინო მოქმედებას და მოუთხრობს ყრილობას პოლკში არსებულ ანარქიას. მოდიან კანცელარიაში ახალგაზრდები, ეწერებიან ჯარისკაცებათ, ღებულობენ იარაღს, ტანთ-საცმელს და შემდეგ იპარებიან სადღაც და ამ რიგათ ვეღარ ვღირსეთ ვერც პოლკის შედგენას დ ვეღარც წესიერების აღდგენას და დისციპლინასო.—ამბობს ორატ. ასეთი მოქმედებით გატაცებული და გალაღებული ზოგიერთი . ჯარისკაცები პირდაპირ ვაჭრობას აწარმოებენ, დღეს აქ ეწერებიან, ხვალ იქ, იღებენ ყველგან იარაღს, ამ იარაღს ჩვენს მტრებზე ჰყიდიან და ამ გზით ჰღუპავენ ჩვენს საერთო საქმესო.

ჯარისკაცების ასეთი მოქმედება ჩვენმა კომიტეტმა სასტიკათ დაჰგმო, ზიზღი გამოუცხადა სამშობლოსა და რევოლიუციის მოღალატეებს და ჯარისკაცთა სიიდან ამოფხიკა მათი გვარები. პოლკში დარჩენილები და ჩვენი უფროსიც საშინელს უხერხულობას განვიცდით ამ ქამათ და რომ ამ სირცხვილს და უბედურებას თავი დავაღწიოთ, ჩვენ შევადგინეთ ერთგვარი მოწოდება ქართველ ერისადმი, რომლითაც ვთხოულობთ მორალურ დახმარებას, ვთხოულობთ ხალხის თანაგრძნობას და ჩვენი ჯარის გამხრწნელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას და მხარის მოცემას. ვთხოულობთ ყველა პატიოსან და სამშობლოს ერთგულ პირთაგან მოვიდენ ჩვენთან და ჩაეწერონ ქართულ პოლკში. ამით ხელი შევაწყონ გავწმინდოთ ჯარი ავანტყოფობისაგან და როდესაც ეს მოხდება, მაშინ სრული იმედი იქონიეთ ჩვენი. გორის ქართული პოლკის კომიტეტი გთხოვს თქვენ, დღევანდელი ყრილობის წარმომადგენლებს, დაგვეხმაროთ, მიიღოთ ეს ჩვენი მოწოდება და როდესაც თავდაცვის კომიტეტს მოაწყობთ, ერთ-ერთ ერთგულ წევრათ ჩვენც მიგვიღეთ და გვეულებოდეთ.

ჯარისკაცების წარმომადგენლის სიტყვამ მხურვალე ტაში და თანაგრძნობა გამოიწვია. ყრილობა ერთხმათ ღებულობს დროებითი ბიუროს მიერ წამოყენებულ საკითხს გორის სამაზრო თავდაცვის კომიტეტის დაარსებისას და იღებს ყველა იმ დებულებებს, რომლის ფარგლებშიაც კომიტეტმა უნდა იმოქმედოს. მოკლე კამათის შემდეგ ყრილობა ღებულობს ამხ. ნ. იმნაიშვილის ორ რეზოლიუციას: პირველი—ამიერ-კავკასიის კომისარიატის ნდობის გამოცხადება, მეორე—გორის სამაზრო თავდაცვის კომიტეტის ორგანიზაციას, რომელიც იმოქმედებს მუშების, ჯარისკაცების და გლეხთა საბჭოების გორის მაზრის ცენტრის დირექტივების ქვეშ და მასთან სრულის კონტაქტით. რეზოლიუციების შემდეგ ყრილობა ერთხმათ ღებულობს თავდაცვის კომიტეტის შემადგენლობას. — კომიტეტის წევრთა რიცხვი განისაზღვრება 14 კაცისაგან: თითო კაცი არსებულ პარტიებისაგან, ოთხი კაცი გორის მაზრაში არსებულ ქალაქების თვითმართველობებიდან, 3 მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებიდან, ერთი გორის სამაზრო აღმ. კომიტეტისაგან და ერთიც ცხინვალის რაიონის საგლეხო საბჭოებიდან.

ნიკო გურული.

## სოც.-დემ. პარტიაში

**სად. ნახიჩევანი** (ერევ. გუბ.) 23 დეკემბერს შესდგა ნახიჩევანის რაიონის რ. ს. დ. მ. პ. წევრთა კრება. თავმჯდომარემ კრებას გააცნო დღევანდელი მდგომარეობა, თუ რა საშიშროებას განიცდის კავკასია და როგორი საფრთხე მოელის მას, რის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: სრულ ნდობას უცხადებს ამიერ კავკასიის მთავრობას, გმობს ბალშევიკების გამოსვლას, დამფუძნებელი კრების გარეკას და ადგენს: რუსეთის დემოკრატიასთან ერთათ იარაღით ხელში დაიცავს დამფუძნებელ კლებას და რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას. კრება სასტიკ პროტესტს უცხადებს ჩვენი სასიქადულო ბელადის ნოე ჟორდანიას შეურაცმყოფლებს.

ზემო-ზემოხეთელი.

## რკინის გზის კანტორებში მოსამსახურეები

ორ თვეზე მეტია, რაც თფილისში დაარსდა რკინის გზის კანტორებში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი. კავშირში ჯერჯერობით დაახლოვებით 400 წევრია ჩაწერილი. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ კავშირი ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას. ამის მიზეზია გამგეობის შემადგენლობა და აქედან გამომდინარე მისი უილაჯობა. გამგეობაში მოხვდენ ისეთი პირები, რომელთა მოქმედება აშკარათ არ ეთანხმება კავშირის დანიშნულებას. საკმარისია მოვიგონოთ მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრთა არჩევნები. ეს ვაჟბატონები შეცადენ არჩევნების ჩაშლას დოლიძისა და მაისურაძის (გამგეობის წევრებია) მეთაურობით, რომლებიც მთელი ორი კვირის განმავლობაში ეწეოდენ აგიტაციას და ცდილობდენ არჩევნები უკანონოთ ყოფილიყო აღიარებული, ვინაიდან საბჭოში გაიყვანეს არა ისინი, ვინც მათ სურდათ. მაგრამ ამით არ განისაზღვრება მათი მიზან-შეუფერებელი მოქმედება. მაშინ, როდესაც მთელ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე არევ-დარევაა გამეფებული და ბევრგან მოძრაობა შეწყვეტილია, მაშინ, როდესაც მთელი რიგი მოსამსახურეებისა იარაღით ხელში იცავენ რევოლიუციონურ წესრიგს და ცდილობენ მიმოსვლა სავსებით არ შეწყდეს, ეს ვაჟბატონები გაფიცვისთვის ემზადებიან, მის სასარგებლოთ ეწევიან აგიტაციას. მათი ასეთი დროს შეუფერებელ დადგენილების გასარჩევათ 14 იანვარს მოხდა მეორე განყოფილების მოსამსახურეთა კრება, რომელმაც ერთხმათ დაგმო ამ ვაჟბატონების მოქმედება და დაადგინა: არც ერთი ჩვენგანი არ ჩაეწერება კავშირში წევრათ, სანამ არ მოხდება გამგეობის ხელახალი არჩევნები. მიეცეს წინადადება რკინის გზის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა შეუდგეს ამ ვაჟბატონების პიროვნების გამორკვევას.

გ. სულაქველიძე.

## პროვინცია

**სოფ. ზოდლეთი** (გურია). ეს სოფელი ისე დაქსაული და დანაწილებული აღარ არის როგორც წინეთ იყო, კულტურულ დაწესებულების საქმეში ხალხი უკვე შეერთდა და მის დასაარსებლათ ერთი თვალსაჩინო ადგილი მიიჩნიეს; საქმე ასე თუ ისე მოგვარებულია, სამკითხველოსთვის მოგროვილია 1000 მ.-დე. ადგილობრივ სკოლასთან და კოოპერატივთან დაარსებულია საფოსტო განყოფილება, რომელსაც კავშირი აქვს მეზობელ სოფ. ვანთან, ასე რომ, ამ სოფლის კულტურულათ დაკავშირებას ეხლა ეყრება საძირკველი და ჯერ კიდევ ბევრი თვალსაჩინო ნაკლი აქვს. ეს ეს ნაკლი უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ ის ვერ არის ორგანიზაციულად შეკავშირებული, განელებულია პარტიული და დემოკრატიული მუშაობა და რა გასაკვირვალია, რომ ათასგვარ ბოროტებას ჰქონდეს აქ ადგილი როგორიცაა მაგ. სახლის დაწვა, ქურდობა საზოგადოების დაწესებულებაში, ე. ი. კოოპერატივში მუშაობის დროს კაცის დაჭრა და სხვა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ზოგიერთმა მოწინავე პირებმა და 9 იანვარს მოწვეულ იქმნა მთელი სოფლის საერთო კრება, რომლის უმთავრეს მიზანს შეადგენდა მიმდინარე მომენტის გათვალისწინება, სასურსათო საკითხის გარჩევა და სხვა; მიმდინარე მომენტზე ლაპარაკობს ამხ. გრიშა მახარაძე. ის მოკლეთ უთვალისწინებს კრებას ჩვენს გარშემო შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას ბოლშევიკების მიერ, უთითებს სხვა და სხვა ფაქტებზე, რომელიც ნათელყოფს ბალშევიკების დროს შეუფერებელ მოქმედებას და აცნობს კრებას ჩვენი ორგანიზაციების სხვა და სხვა რეზოლიუციებს. შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. გიორგი ოდიშარია, ის ეხება საერთოდ პარტიულ მუშაობის საკითხს, არკვევს ბოლშევიკ-მენშევიკური ფრაქციის ორივე მიმართულებას და მისი გაყოფის უმთავრეს მიზეზს, მოუწოდებს კრებას ორგანიზაციულათ შეკავშირებისაკენ და ურჩევს საერთო ანარქიის მსხვერპლი არ გახდნენ. სასურსათო საკითხზე ლაპარაკობს ამხ. დიომიდე მგელაძე, რომელიც სურვილს გამოსთქვამს და ურჩევს კრებას ხელოვნურათ ნუ გაამწვავებენ განსაკუთრებით სიმინდის საკითხს და ვისაც გასაყიდი აქვს დაუთმოს თავის მშიერ მეზობელსო, მაგრამ რადგანაც ამ სოფელში არავის არ აქვს სიმინდი, ისევ ავალებს კრება სასურსათო კომიტეტს, ყოველივე ღონე იხმაროს სიმინდის შესაძენათ, სანამ კითხვა გამწვავდებოდეს, მომხსენებლების შემდეგ ლაპარაკობენ სხვა ორატორებიც, გარდა მცირე გამონაკლისისა, ერთხმად ღებულობენ რეზოლიუციას, რომ შესდგეს საიმედო ჯარისკაცებისაგან სამხედრო კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს სოფლად თვალყური ადევნონ იარაღით სახლში დაბრუნებულ ჯარის კაცებს, ჩამოართვან იარაღი და გადასცენ სადაც ჯერ არს, აგრეთვე მათ ევალებათ ყოველი საჭიროების დროს გამოუცხადონ ყველა იმ პირებს, ვისაც კვლავ ჯარში გაიწვევენ და ან ვის უწევს სამსახური, კრება ასეთ კომისიაში ირჩევს 5 კაცისაგან შემდგარ პირებს. ვიმედოვნებთ, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. კრება აგრეთვე სხვა საკითხებსაც შეეხო.

დროებით წასული.

## დაკარგე

თფილისის მილიციის უფროსისაგან მოცემული ექვს თვიანი პირადობის მოწმობა, და აგრეთვე განმანიწ. პუნქტის კანტორისაგან მოცემული მოწმობა. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს შემდეგი ადრესით: თფილისი, განმანაწილებელი პუნქტი, ქალაქთა კავშირი, მარიამ გიორგის ასული კატოიანცს. (1—1).

## ბინის ორგანიზაციების წესდების პროექტი

(გამომუშავებული განსაკუთრებულ სასურსათო კომისიის საკრებულოსაგან)

**I ბინის ორგანიზაციების მიზანი.**

1) სასურსათო კრიზისის შემსუბუქება: (პურის, შაქრის და სხვა პროდუქტების რიგებთან ბრძოლა).

2) სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა და აგრეთვე სახლის დამქირავებელთა და ბინის დამქირავებელთა შორის დამოკიდებულების მოწესრიგება.

3) ბინის დამქირავებელთა და მათ მოსამსახურეთა შორის დამოკიდებულების მოწესრიგება.

4) სახლების სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესება.

5) ბინის ნაკლებობის წინააღმდეგ ბრძოლა.

6) ბინების დაცვა.

7) სახლების და ბინების შესაფერათ მოწყობა და სხვა.

**II ბინის ორგანიზაციების შემადგენლობა.**

ბინის ორგანიზაციების წევრათ ითვლება ყველა, ვინც კი ცხოვრობს სახლის ტერიტორიაზე, არის 18 წლის და გადაუხდელი აქვს დადგენილი გადასახადი

**III ბინის ორგანიზაციების მმართველობა.**

ბინის ორგანიზაციების საქმეებს განაგებს:

ა) საერთო კრება.

ბ) ბინის კომიტეტი.

საერთო კრება ითვლება კანონიერათ თუ კრებაზე გამოცხადდა ყველა წევრთა ერთი მეხუთედი (ან ბინის წარმომადგენელთა ერთი მესამედი) თუ ვინიცობაა საერთო კრებაზე არ გამოცხადდა საკმაო წევრთა რიცხვი, კრება იწვევა მეორეთ ორი დღის განმავლობაში და ჩაითვლება კანონიერათ რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

საერთო კრება ირჩევს **ბინის კომიტეტს** (თავმჯდომარეს, მდივანს და სხვ. საქმის წარმოებისათვის საჭირო პირებს ირჩევს ერთმანეთს შორის თვით ბინის კომიტეტი). და 3 პირისაგან შემდგარ სარევიზიო კომისიას, ეს უკანასკნელები არ უნდა შედიოდენ ბინის კომიტეტში.

საერთო კრება იწვევა თვეში ერთხელ.

საერთო კრებაზე კითხვები იჭრება ხმის უმეტესობით, ხოლო ხმების თანასწორათ გაყოფვის დროს გადამწყვეტი ხმა თავმჯდომარეს ეკუთვნის.

ბინის კომიტეტი განაგებს ბინის ორგანიზაციების საქმეებს, მოჰყავს სისრულეში საერთო კრების ყველა გადაწყვეტილება. და თავის მოქმედებაში ანგარიშს აძლევს საერთო კრებას წელიწადში ორჯერ.

**IV ბინის ორგანიზაციების საშვალებანი.**

1) ბინის ორგანიზაციების შემოსავალს შეადგენს საწევრო გადასახადი. თვითეული წევრი იხდის შესასვლელ და ყოველ თვიურ გადასახადს, რომელსაც გამოიმუშავებს საზოგადო კრება.

2) შემოწირულება.

3) სპეციალურ მიზნებისათვის შეწერილი გადასახადი.

ბინის კომიტეტებს აქვთ თავისი ბეჭედი, რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს ქუჩა და ბინის ნომერი. (1—1).

## ქართული უნივერსიტეტი

### თფილისში გაიხსნება 1918 წ. იანვრის შუა რიცხვებში

ამ თავითვე იქმნება სიბრძნის მეტყველების ჰუმანიურ მეცნიერებათა განყოფილება. ლექციები იქნება **საფილოსოფიო, საისტორიო, სალიტერატურო, საენათმეცნიერო, საპედაგოგიო და სოციალურ მეცნიერებათა დარგებიდან.**

სტუდენტებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში (ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, სასულიერო სემინარია (ოთხი კლასი), რეალური, საკომერციო, საეპარქიო და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლები, საოსტატო ინსტიტუტი და სემინარია, კადეტთა კორპუსი და სხვ.) კურს-დამთავრებულნი.

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა ქართული უნივერსიტეტის დროებითი გამგეობის სახელზე (თხოვნაში აღნიშნული უნდა იყოს მთხოვნელის მისამართი), 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ და 3) მეტრიკული მოწმობა (ვაჟთათვის). მსმენელთათვის საჭიროა მხოლოდ თხოვნა.

სწავლის ფასი სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) სტუდენტებისა და მსმენელთათვის ათი თუმანი. იმ მსმენელთათვის კი, რომელთაც მხოლოდ ერთისა ან ორი საგნის მოსმენა სურთ,—ხუთი თუმანი. ფული ჩაწერისთანავე უნდა იყოს შემოტანილი.

ჩაწერა იოსებ ყიფშიძესთან, ქართული უნივერსიტეტის კანცელარიაში (ქართული გიმნაზიის შენობა) 12 ს.—2 საათამდე ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმეებისა.

ფოსტის ადრესი: въ канцелярію Грузинскаго Университета. Тифлис, зданіе Грузинской гимназіи.

ქართული უნივერსიტეტის დრ. გამგეობის წევრნი: პ. მელიქიშვილი. ივ. ჯავახიშვილი.

(15—14)

მსწრაფლ-მბეჭდავი „სტამბა" რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.